# ნაკადული 1998

ეროვნული ბიბლიოთეკა

F 149
1998 №1



ვის ნათესავსა ვგავით? ◆ ხშირად დააკვირდით ვარსკვლავიან ცას ◆ „ბიჭების" ბიჭები ◆ სწრაფად, სწრაფად, უფრო სწრაფად! ◆ როგორ იშვა გულივერი ◆ ყველაზე მხიარული ამბავი ◆ ლამაზი თმა ერთ ქალად ღირს ◆ კომიქსის შესახებ

საყმაწვილო ჟურნალი"ნაკადული"

1998 წ. № 1

გამოდის 1926 წლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნომრის შინაარსი

ილია ჭავჭავაძე. ვის ნათესსა ვმკით? ........ 1
ხშირად დააკვირდით ვარსკვლავიან ცას (საუბარი აკადემიკოს ევგენი ხარაძესთან) .... 3
მარკ ტვენი. სკოლის ბორცვზე (მოთხრობა. დასასრული) ........ 4
ნანა მაყაშვილი. ანსამბლ "ბიჭების" ბიჭები ........ 9
ფიბონაჩი და მისი მწკრივები ........ 11
სწრაფად, სწრაფად, უფრო სწრაფად! ........ 12
ცვივა ციდან ფანტელი ........ 13
შემოვაქსოვოთ საქართველოს ჯაჭვის პერანგი (მომავალ მეთაურთა სკოლა) ........ 14
როგორ იშვა გულივერი ........ 15
კითხვა — თქვენი, პასუხი — ჩვენი ........ 17
იზარდე, მწვანე ჯეჯილო ........ 18
ტატა ბიგანიშვილი. ყველაზე მხიარული ამბავი (ერთი თქვენგანი) ........ 19
ჯადოსნური სარკე ........ 21
რუსული პოეზია (საუბრები პოეზიაზე) ........ 22
საგნების ისტორიიდან ........ 23
მოთმინების ქვა. (სპარსული ზღაპარი) ........ 24
ლამაზი თმა ერთ ქალად ღირს (რჩევები გოგონებს) ........ 26
საახალწლო მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო ........ 27
ილუსტრირებული ვიქტორინა ........ 29
კომიქსის შესახებ ........ 30
გამოგადგები ........ 31
იწილო-ბიწილო ........ 32

მთავარი რედაქტორი მანანა გელაშვილი
რედაქტორის მოადგილე ქეთევან ცამაცაძე
პასუხისმგებელი მდივანი არჩილ მექანიშვილი

რედაქციის მისამართი: 384096, თბილისი, კოსტავას ქ. № 14
ტელეფონი: 93-31-81, 93-18-84
ფასი სახელშეკრულებო.
ინდექსი 76157

# ილია ჭავჭავაძე

გასული 1997 ილია ჭავჭავაძის 160 წლისთავის წელიც იყო. კიდევ ერთხელ მიაგო სრულიად საქართველომ მოწიწებული პატივი თავისი დიდი შვილის ხსოვნას. კიდევ ერთხელ გადავხედეთ საქართველოსთვის გაკეთებულ-გასაკეთებელს ილიას თვალით, მისეული საზომით შევამოწმეთ ჩვენი დიდ-პატარა საქმეები და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რამდენს ვაგებთ, მის გზას ბოლომდე რომ ვერ ვერთგულობთ... თვითონ ხომ სამშობლო მუდმივი ზრუნვის საგნად გაიხადა, ხომ სულ მამულის უკვდავებაზე ოცნებობდა, თანამემამულეთაც ნიადაგ ამას შეაგონებდა, საქართველოს მოუარეთო: დღესაც თავს დაგვფრიალებს, არ გვასვენებს – გონებას, სულს, ზნეობას, სინდისს გვიფორიაქებს...

გთავაზობთ ილიას 1879 წლის წინასაახალწლო საშინაო მიმოხილვას „ვის ნათესსა ვმკით?" ნუ დაიზარებთ, გულდადებით წაიკითხეთ, დღეს თუ არა ხვალ ახალი საქართველოს ბედი თქვენ უნდა ჩაიბაროთ და, უთუოდ, ბევრ ისეთ რამეს ამოიკითხავთ, საუკეთესო საგზლად რომ გამოგადგებათ ქვეყნის ასაღორძინებლად დასაძლევ გზაზე.



## "ვის ნათესსა ვმკით?"

(მიმოხილვა 1879 წლისა)

აი მოსწყდა ერთი წელიწადი კიდევ აწმყოსა და მიერთო იმ ვეშაპს, რომელსაც წარსულს ეძახიან და რომელსაც ამოდენა დრო და ჟამი გადაუყლაპავს და მოუნელებია. წავიდა ძველი წელიწადი და მოვიდა ახალი. რომელი ერთი მოგილოცოთ, მკითხველო: ძველის წასვლა, თუ ახალის მოსვლა? ადამიანთა ცხოვრება საზოგადოდ და ჩვენი საკუთრივ რომ რიგიანად აგებული იყოს და თავისად მიმავალი, ძველს უნდა რაიმე სიკეთე დაეთესა, რომ ახალს ეხეირებინა, რადგანაც წესიერად მოწყობილ ცხოვრებაში დღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა და დედაა ხვალისა. მაშინ, რასაკვირველია, ძველს მადლობით გავისტუმრებდით და ახალს იმედით და ნატვრით მივეგებებოდით, მაგრამ კაცი ბჭობს და ღმერთი კი იცინისო, ნათქვამია.

სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი აი ამოდენა ხანია ქვეყანაზედ დავგოგავთ, ამოდენა ხანია ჩვენს თვალ-წინ ერთი წელიწადი მეორესა სცვლის, და ჩვენს ბედს ისე უმუშავნია, რომ არც ერთხელ საბუთი არა გვქონია ან წარსულს ნაღვლით გამოვესალმებოდეთ და ან მომავალს სიხარულით მივგებებოდეთ. ამოდენა წელიწადებს გაუვლია-მეთქი და მათგანი ერთი იმისთანა არ შეგხვედრია, რომ ნუგეშით გაგვეჩერებინოს მასზედ თვალი და მადლიერის გულით გვეთქვას: "იყავ და განგრძელდიო". ყოველ ახალის წლის მოსვლასაც ბევრჯელ მივგებებივართ რაღაც იმედითა და ნატვრითა, მაგრამ მოსულა ახალი და ფუჭად ჩაუტარებია "იგი ნატვრა, იგი იმედი".

ჟამთა ცვლას ჩვენის ბედის ცვლა არ მოჰყოლია, თითქო დროთა მდინარობა ჩვენთვის არ არსებობსო, თითქო ყველასათვის მოძრაობსო და მარტო ჩვენთვის კი შემდგარიაო, არც წინ მიდის, არც უკანაო. ამდენმა გაცუდებამ იმედისამ და ნატვრისამ იქამდინ მიგვიყვანა, რომ ჩვენს თვალ-წინ ერთი წელიწადი მეორეზედ მიდის და მოდის და არც ნათელი გვრჩება წარსულის სიკეთისა და არც ნუგეში მომავლის იმედისა. ამ ყოფამ დაგვიღალა გული, ამოდენა ტყუილმა ლოდინმა დაგვლია, აი, ამ-ჟამად, როცა დროთა ბრუნვამ ძველისა და ახალის შუა ამართულს ქედზედ დაგვაყენა, საიდამაც წარსულსაც გადავყურებთ და მომავალსაც, – ჩვენ გული არ გვიცემს არც იმისთვის, რომ წარსულს გავტიროდეთ, და არც იმისთვის, რომ მომავალს შევხაროდეთ.

თუმცა ასე აგვიცრუა გული ათასმა მაგალითებმა, ბევრმა უნაყოფოდ ჩავლილმა და მოვლენილმა წელიწადმა, მაგრამ სიმართლე გვაიძულებს ვსთქვათ, რომ ეს უკანასკნელი ოთხი-ხუთი წელიწადი როგორღაც, ცოტად თუ ბევრად, სანუგეშონი იყვნენ. ნამეტნავად ეს ძველი 1879 წელი ღირსშესანიშნავი წელიწადი იყო ჩვენთვის და ქართველმა მემატიანემ რომ ამ წელიწადს მხარი აუქციოს, არ უნდა ეპატიოს. ამ წელიწადმა ცხადის მაგალითებით დაგვიმტკიცა, რომ ქართველობამ, აქამდის ერთმანეთზედ დაშორებულმა, აქამდის ცალ-ცალკედ მოარულმა, იგრძნო, რომ ეგრეთ ყოფნა მწვადსაცა სწვავს და შამფურსაცა, თვითოეულს კაცსაც ავნებს და მთელს საზოგადოებასაც; იგრძნო ეს ტკივილი და მალამოც უპოვა, იგრძნო რომ ღონე ერთობაშია, ერთად თავმოყრაში, ერთად საერთო უღელის წევაში, ერთმანეთის მხარის მიცემაში. იგრძნო და გაშალა ხელი კიდეც, რომ დაქსაქსული, გაფანტული, ცალ-ცალკედ მოარული ღონე - ქონებითი თუ გონებითი – ერთს კვალში ჩაეყენებინა საერთო და საყოველთაო მოქმედებისათვის. ჩვენ ამ მაგალითებთაგანს ორიოდეს დავასახელებთ, რადგანაც ჩვენთვის ამ-ჟამად საჭიროა ის კი არა, რა გაკეთდა, აქამდე ის არის საჭირო, გაკეთებული რამან შეჰქმნა, რამ გააკეთა და საიდამ წარმოსდგა.

შესდგა ჯერ თავად-აზნაურთა საზოგადოება ღარიბ-მოსწავლეთა შემწეობისათვის. ამ საზოგადოებამ 1879 წ. გამართა ტფილისში ქართული შკოლა, სადაც სწავლა დედაენის შემწეობით არის მომართული და სადაც ოთხმოცამდე ყმაწვილნი სწავლობენ და ამათში ოც-და-თორმეტს, თუ ცოტა მეტნაკლებს, ბინაცა აქვთ აჩენილი.

შესდგა საზოგადოება წერა-კითხვის გამავრცელებელი ქართველთა შორის, რომელსაც მინიჭე-

F-6606

საქართველოს ეროვნული

ბული აქვს უფლება, რომ სასოფლო და პირველდაწყებითს შკოლებში სწავლა დედა-ენის შემწეობით აწარმოოს. თუმცა ამ საზოგადოებას ჯერ თავი არაფრით გამოუჩენია, მაგრამ ტვირთი მისი მეტად მძიმეა და საგანი მეტად რთული და ამის გამო აქ "ნიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა". ამ საზოგადოების რთულისა და მძიმე საქმის ჯეროვანს კვალში ჩაყენება ეგრე ადვილი არ არის, რომ სამს-ოთხს თვეში თავი გამოეჩინა, ამ საზოგადოებას წინ დიდი მანძილი აქვს გასავლელი. დიდს მანძილს კაცი ჭენებით ვერ გაივლის. ამით ჩვენ იმისი თქმა კი არ გვინდა, რომ ფეხის აჩქარება ამ საზოგადოებისათვის მავნებელი იყოს ყოველ შემთხვევაში. თუმცა არ არის სასურველი ეს საზოგადოება ისე აუჩქარდეს თავის საქმეს, რომ ზედ წააკლას არსებითი საგანი, მაგრამ არც ის არის სანატრელი, რომ მეტისმეტმა სიწყნარემ ობი მოჰკიდოს იმ დედააზრს, რომლითაც იგი საზოგადოება უნდა სულდგმულობდეს — ამავე 1879 წ. შესდგა ქართულის თეატრის დასი, მერე იმისთანა, რომ უკეთესი ნატვრა — ჯერ-ხანად მაინც — მეტის-მეტი ხარბობა იქნება ჩვენის მხრით.

ჩვენ მარტო ეს სამი მაგალითი ჩამოგითვალეთ არა იმისთვის, რომ მაგის მეტი სანუგეშო არა მომხდარიყოს რა ჩვენს შორის ამ უკანასკნელ დროს. მაგრამ ეგ სამი მაგალითიც საკმაოა იმისთვის, რის თქმაც გვინდა. ყოველივე ეს, რაც ზემოთ გაკვრით მოვიხსენიეთ, მით არის შესანიშნავი და ძვირფასი ჩვენთვის, რომ ქართველობის საკუთარის თაოსნობით, ღვაწლით, შეწირულობით და ხელით აშენდა და დამკვიდრდა. განა ბევრს წელიწადებს ჩამოგითვლით ამ უკანასკნელს ოთხმოცის წლის განმავლობაში, რომ რომელიმე მათგანი ამ მხრით თავმოწონებით გვერდით დაუდგეს წარსულს წელსა? არა მგონია. ეს წელი შესანიშნავია როგორც დრო, როცა ჩვენმა საკუთარმა თაოსნობამ თითქმის პირველ ფეხი აიდგა; როცა ჩვენმა ქართველობამ პირველ ხმამაღლა სთქვა: კმარა, დროა ჩემს თავს მევე მოვუაროო.

რამ გამოაფხიზლა ქართველობა? რამ აუღორძინა თვითმოქმედებითი ძალი? ამის აღსახსნელად პატარა შორიდამ დავიწყებთ ლაპარაკსა, უფრო იმისათვისა, რომ თუ თვალით არა, სუნით მაინც ავიღოთ, რომელი ცხოვრების ძარღვი გვაქვს ჩაწყვეტილი დროთა ბრუნვისაგან.

ჩვენი უბედურება მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამს სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. ამ დარღვევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა. თვითოეული ჩვენგანი ერთმანეთს დაგვაშორა, ერთმანეთის გულის-ტკივილისათვის გული აგვიცრუა, მოგვიკლა. მას დღეს აქეთ გაითხარა ჩვენის ბედნიერების სამარე, მას დღეს აქეთ თვითოეული დღე თითოს რასმე სიკეთეს ხელიდამ გვაცლიდა. ეს საზარო უბედურება, რომელიც თანდათან უფრო და უფრო გვიჯდებოდა სულსა და ხორცში და გვხრწნიდა თავიდამ ფეხამდე, იგრძნეს მაშინვე ჩვენმა მამა-პაპებმა და მათგან უკეთესებმა ზედ შეაკლეს თავი ჩვენს ქვეყანასა, რომ ერთობა ხელ-ახლად ჩამოეგდოთ. ბევრჯა სახელოვანმა მეფემ დალია ამაზედ თავისი სიცოცხლე, ბევრმა თავგამოდებულმა მამულის-შვილმა დაანთხია ამისთვის სისხლი, მაგრამ გარედამ მტერმა და შიგნით უკეთურთა ბზარვამ და ლალვამ იმოდენა ჯაფა, სისხლის ღვრა, თავგანწირვა, — ამაოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძლურებულს ქვეყანასა და ერთხელ ზურგშემოქცეულს ბედს პირი ჩვენკენ ვეღარ აქნევინეს. ეგ შეერთების ყოვლად-მხსნელი სურვილი თუმცა ვეღარ განახორციელეს, მაგრამ ანდერძად კი მაინც შერჩათ გულში ზოგიერთს ძველთაგან შთომილსა. ხოლო ჩვენი უბედურება ის იყო, რომ მაგ ძველთაგან ცოტანიღა შეგვრჩნენ. დროთა ბრუნვამ, სხვა ნიავქარის ქროლამ, სუსტებს გული შეუცვალა და ჩვენს დროსათვის დარჩა იმ ძველთაგან ძალიან მცირე გუნდი, რომელთაც გული კიდევ უცემდათ ქვეყნისათვის. დრომ ისე იმძლავრა იმათზედაც, რომ ჩუმად ხმაამოუღებლივ უნდა მიმჯდარიყვნენ თავის უსიხარულო ჭერ-ქვეშ და იქ ეგლოვნათ, იქ ეტირნათ თავისი ქვეყნის პირქვე დამხობა, მერე ისე, რომ ცრემლი თვალზედ არავის შეემჩნია. გულში ჰქონდათ-მეთქი ის მაცხოვარი წყურვილი შეერთებისა, მაგრამ დრომ ისეთი თავზარი დასცა, რომ შიშობდნენ არამც თუ ემოქმედნათ რამე, არამედ ერთმანეთის ნახვასაც კი ერიდებოდნენ. ეგრე ეგ უკეთესნიც დაჰშორდნენ ერთმანეთსა და დღე-და-დღე კლებაში შედიოდნენ. კლებულობდნენ იმიტომ, რომ ის ყოვლად-მხსნელი სურვილი მარტო იმათ გულში ტრიალებდა და შიშით თავი გარეთ ვერ გამოეყო, რომ გავრცელებულიყო მათ მომდევართა შორის და მემკვიდრეობით გადასულიყო მომავალთა გულში. ამ სახით, ის სურვილი ცოტად-ღა ბჟუტავდა ზოგიერთა გაცალკევებულს გულში, როცა მოედანზედ გამოვიდა სხვა ახალი მოზარდი თაობა. ახალი თაობა მოესწრო და ის თითქმის განელებული, მილეული სურვილი ერთობისა და საზოგადოებრივის კავშირისა კვლავ გაფუვდა, აღორძინდა ჩვენ დაფუყებულს გულში და აჰა ლამის ნაყოფიც გამოიღოს. ამ ღვაწლს ვერავინ შეეცილება ყმაწვილ-კაცობასა, რომელმაც, რაც კი შეეძლო, თავი არ დაზოგა და პირქვე დასამხობად მიწურვილი სურვილი კვლავ ფეხზედ წამოაყენა. ბევრს რასმე ემდურებიან ყმაწვილ-კაცობას, ზოგს სამართლიანად, ზოგს უსამართლოდ, მაგრამ აქ მოხსენებულს სამსახურს კი ჩვენს წინაშე ვერავინ ვერ ჩამოართმევს. ყმაწვილ-კაცობამ ხელი წაავლო პირველ ხანშივე მას, რაზედაც შეწყდა ჩვენი ცხოვრება, მან დააყენა ჩვენში ფეხზედ ქვეყნის სიყვარულიც, მამულის-შვილობაც. ერთსაც და მეორესაც, რაც შეეძლო, გზა გაუკაფა, ფეხი აადგმევინა, ერთის სიტყვით, ჩვენ, ერთმანეთზედ ზურგშექცეულნი, კვლავ ერთმანეთისკენ მიგვახედა. დიახ, ყმაწვილ-კაცობის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენ საერთო, საყოველთაო სურვილი გაგვიახლა, საერთო გულისტკივილი ჩაგვისახა, ჩვენის თავის იმედი მოგვცა და ერთობ გამოგვაღვიძა, გამოგვაფხიზლა. ერთობის მღაღადებელთა არ გაუცუდდათ ღაღადება და აი დღეს იმასა ვმკით, რაც ყმაწვილ-კაცობის უანგარო ღვაწლით წინა წლებში დათესილი იყო.

გვეტყვით, სამკალი ჯერ მაგოდენა არა არის რაო, რომ ეგრე თავმოწონებით გამოდიხართ და აზვიადებთო. მართალია, ქართული თეატრი, ქართული შკოლა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვა ამ-გვარი ისეთი დიდი რამ არ არის, რომ ჩვენი ფარ-ხმალი ძირს დავსდოთ, მარტო მაგათ შევაჩერდეთ და მაგაზედ მეტი არა ვინდომოთ-რა. სურვილი ჩვენი ზღვაა და მაგგვარის კოვზით ეგ ზღვა არ დაილევა, მაგრამ ყოველს ამაში ჩვენთვის ძვირფასი ის არის, რომ ერთიც, მეორეც, მესამეც, ჩვენის საკუთარი თაოსნობით და ღვაწლით არის მოყვანილი და ერთმანეთისათვის საერთო გულის-ტკივილით შემზადებული.

ეს ფრთაშესხმული საკუთარი თაოსნობა, ეს ერთმანეთისათვის გულისტკივილი, ეს ფეხადგმული თვითმოქმედებითი ძალი, — ის ნერგია, რომელმაც უნდა ამოხეთქოს ყოველივე, რაც ჩვენთვის სანატრელია. ეს ნერგი დარგულია ჩვენში ჩვენის ყმაწვილ-კაცობის ხელით — წარსულში, და მომავალის დროების მოღვაწეთა იგი უნდა ჰრწყან თავის მხურვალე ოფლითა. წარსულმა ეს უანდერძა მომავალსა, ეს ლარი გაუბა გზის საჩვენებლად.

(1879 წ. 31 დეკემბერი).



# ხშირად დააკვირდით ვარსკვლავიან ცას

ვფიქრობთ, სასიქადულო მეცნიერი და სამაგალითო პიროვნება, აბასთუმნის ობსერვატორიის საპატიო დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის გამგე, რუსეთისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, აკადემიკოსი, პროფესორი ევგენი ხარაძე, რომელსაც ახლახან 90 წელი შეუსრულდა, ყველა თქვენგანისთვის სასურველი თანამოსაუბრე იქნება.

— ბატონო ევგენი, წლევანდელი ახალი წელი 91-ეა თქვენთვის, რომელიმე მათგანი თუ იყო განსაკუთრებული, რომელი დაგამახსოვრდათ გამორჩეულად?

— ახალი წლის დამდეგს ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი არასოდეს არაფერი მომხდარა...

— თქვენს ოჯახში როგორ ხვდებოდნენ შობა-ახალ წელს?

— მრავალრიცხოვან სტუმრებთან ერთად ოჯახში შობა-ახალ წელს ყოველთვის დიდი ხალისით ვეგებებოდით. ბავშვობაში ახალ წელს ახალი წიგნის კითხვას ვიწყებდი. ეს ჩვეულება დღემდე გამომყვა — ყოველ ახალ მეცნიერულ ნაშრომზე მუშაობასა თუ წიგნის კითხვას წლის ან თვის პირველ დღეებში ვიწყებ.

— ილია ბრძანებდა, "ჩვენს ერს ბევრი მაგარი და ბევრიც უვარგისი ქვა ჩაუდვია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებადო". თქვენ რომელი ქვა მიგაჩნიათ მაგრად, დღევანდელმა ახალგაზრდობამ რომ უნდა ჩადოს ახალი საქართველოს საძირკველში, და რომელი უვარგისად, განზე რომ უნდა მოისროლოს?

— ახალი საქართველოს საძირკველში პირველი ქვა მომავალი თაობის მშობლებმა უნდა ჩადონ. ახალგაზრდების განათლებისკენ ლტოლვა, სამშობლოს, ადამიანებისა და საქმისადმი პასუხისმგებლობისა და პატივისცემის გრძნობა კეთილ ნაყოფს გამოიღებს. ოჯახს არ უნდა ეპატიოს ყმაწვილის უზნეო საქციელზე თვალის დახუჭვა.

— რას უსურვებდით "ნაკადულის" მკითხველებს და საერთოდ, ქართველ ყმაწვილებს ახალ წელს?

— რაც შეიძლება ბევრი იკითხონ.

— ბ-ნო ევგენი, რატომ გადაწყვიტეთ მაინცდამაინც ასტრონომიით გამხდარიყავით?

— ჩემი უფროსი ძმა არჩილი მოსკოვის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახლდათ. არდადეგებზე სახლში ჩამოსული არჩილი ხშირად მესაუბრებოდა შორეულ პლანეტებზე. სწორედ ძმამ გამიღვივა ინტერესი ასტრონომიისადმი. მოგვიანებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის ფაკულტეტზე განვაგრძე სწავლა, თუმცა არ ვიცოდი, მომავალში რა მეკეთებინა.

სტუდენტობისას თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში ვმუშაობდი. ამ დროს თბილისში ლენინგრადის ასტრონომიული ინსტიტუტიდან ჩამოვიდა ექსპედიცია, რომელიც მთიან ზონაში ობსერვატორიის ასაშენებელ ადგილს ეძებდა. საბჭოთა მეცნიერები ღირსეულ მეტოქეობას ვერ უწევდნენ ამერიკელებს, რომლებსაც მთიან ზონებში განლაგებული ობსერვატორიების წყალობით დიდი წვლილი შეჰქონდათ ციური სხეულების შესწავლაში. წარმოიდგინეთ, რა მნიშვნელობა ენიჭებოდა ზემო ხსენებულ ექსპედიციას, რომელსაც მეც გავყევი. მალე აბასთუმნის მიდამოებში ობსერვატორიის ასაგებად სასურველ ადგილს მივაგენით. ამ ექსპედიციაში გავიცანი პროფესორი ბორის ნუმეროვი, რომელმაც ასპირანტურაში ცოდნის გაღრმავება შემომთავაზა.

1931 წელს ლენინგრადის ასტრონომიული ინსტიტუტის ასპირანტი ჯერ არარსებული ობსერვატორიის დირექტორად დამნიშნეს. აბასთუმნის ობსერვატორიას 61 წელი ვხელმძღვანელობდი.

— ალბათ ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე მშვენიერი არაფერია...

— ჩემთვის ყველაზე ლამაზი ღამის ცა იმერეთში, ჩემს მშობლიურ სოფელ ფარცხნანშია, სოფელში ვარსკვლავები უფრო მისაწვდომი გვეჩვენება, ვინაიდან ჰაერია გამჭვირვალე და ხელოვნური განათებაც ნაკლებია, ვიდრე ქალაქში.

— ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ სხვა ცივილიზაციებზე, თქვენ როგორ ფიქრობთ, დედამიწის გარდა, სხვა პლანეტებზეც არსებობს სიცოცხლე?

— სამყაროში 100 მილიარდი ვარსკვლავია. მნათობთა ასეთ სიმრავლეში არ არის გამორიცხული, სადმე სიცოცხლე არსებობდეს. შორეულ პლანეტებზე სიცოცხლის არსებობის უტყუარი მტკიცებულებები მეცნიერებას ჯერ არ გააჩნია. თუმცა ცოტა ხნის წინ მეცნიერებმა პლანეტა მარსზე აღმოაჩინეს მდინარეების დამშრალი კალაპოტები. მეცნიერთა ვარაუდით, ეს მდინარეები 100 ათასი წლის წინ დამშრალა. ამერიკელი მეცნიერები ობსერვატორიებში რადიოტალღების ხმაურს აკვირდებიან: ეგებ, უცხო ცივილიზაციების წარმომადგენლებმა მოინდომონ ჩვენთან — ადამიანებთან კონტაქტის დამყარება.

— ბატონო ევგენი, თქვენ ქართველ მეცნიერთა არა ერთი თაობა გამოზარდეთ, ვის გაიხსენებდით თქვენი მოწაფეებიდან?

— სამწუხაროდ, ჩემი მოწაფეებიდან ბევრი ცოცხალი აღარ არის... აბასთუმნის ობსერვატორიაში დღესაც მოღვაწეობენ ჩემი მოწაფეები — პროფესორები, მეცნიერებათა დოქტორები ვიქტორ ჯაფიაშვილი და რამზე ბარქაია. ჩემს ერთ-ერთ ნამოწაფართან, მეცნიერების კანდიდატ ვაჟა ყულიჯანაშვილთან ერთად სამეცნიერო-პოპულარულ წიგნზე ვმუშაობ. ვფიქრობ, მომავალი წიგნი მოზარდებს სურვილს გაუჩენს ჩაუღრმავდნენ ყველაზე საინტერესო მეცნიერებას — ასტრონომიას და ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ხშირად დააკვირდნენ.

— გმადლობთ, ბატონო ევგენი. ჟურნალ "ნაკადულისა" და მისი მკითხველების სახელით გილოცავთ ახალ წელს. გისურვებთ დღეგრძელობასა და ახალ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

ესაუბრა ნანა მაყაშვილი

... ტომი და ახალი მოსწავლე გარეთ გამოვიდნენ. ბასკომს რომ გაუსწორდნენ, იმან ორმოცდამეოთხეს ფეხი დაუდო, მაგრამ ბიჭს არც კი წაუფორხილებია. თვითონ ბასკომი კი დაეცა, თან ისე დაებერტყა, რომ ჩუმ-ჩუმად ყველამ ჩაიცინა. ბასკომი წამოდგა, ბრაზი ახრჩობდა, გაცოფებულმა დაიყვირა:

— პალტო გაიხადე!.. ან მეხუთე ხარისხი, ან მიწის ჭამა მოგიწევს. ორში ერთი. აბა, უკან დაიხიეთ! გაიგე რაც გითხარი, მიდი!

— შეიძლება, პალტო არ გავიხადო? წესი რას ითვალისწინებს?

— არ შეიძლება, უთხრა ტომმა — უნდა გაიხადო, თორემ ხელს შეგიშლის.

— თუ გინდა ნუ გაიხდი, შე ცვილის თოჯინავ — დაუყვირა ბასკომმა — სულ ერთია, ეგ მაინც ვერ გიშველის.

ორმოცდამეოთხე მუშტიკრივისათვის გაემზადა, თავდაცვითი პოზა მიიღო, ადგილზე იდგა. მოქნილი, მოძრავი ბასკომი კი ცეკვაცეკვით უვლიდა გარს, ხან მიუახლოვდებოდა, ხან უკან იხევდა.

ტომი და ბიჭები დროდადრო შეძახილებით აფრთხილებდნენ ორმოცდამეოთხეს:




# სკოლის ბორცვზე

— ეი, ფრთხილად! ფრთხილად იყავი!..

რაღაც მომენტში მან ყურადღება მოადუნა, ჰენური მიუხტა და ღონივრად მოუქნია ხელი, მაგრამ ორმოცდამეოთხემ მოუხელთებელი მოძრაობით აირიდა ბასკომის დარტყმა, ბასკომს კი ყინულზე ფეხი დაუცურდა და ძირს დაეხეთქა. მაშინვე წამოხტა და კიდევ უფრო მეტად გააფთრებულმა, კოჭლობით დაიწყო მეტოქის გარშემო ხტუნვა.

კიდევ ერთხელ შეუტია, მაგრამ ორმოცდამეოთხეს კი არ მოახვედრა, არამედ სიცარიელეს და ისევ დაებერტყა მიწაზე. ამის შემდეგ უფრო ყურადღებიანი გახდა, აღარ ხტუნაობდა, ფრთხილად აბიჯებდა მოლიპულ მიწაზე, მთელი მონდომებით იბრძოდა, გააზრებულად აყენებდა დარტყმებს, მაგრამ მიზნისთვის არც ერთ მათგანს არ მიუღწევია: ორმოცდამეოთხე თავისი სხარტი მოძრაობით ირიდებდა დარტყმებს, ყველა შეტევას მარჯვედ იგერიებდა. ბასკომი ხვნეშოდა, ძლივს სუნთქავდა, მისი მიწინააღმდეგე კი ყოჩაღად გამოიყურებოდა: მას ხომ ფეხი თითქმის არც კი მოუცვლია და არც ერთი დარტყმა არ მიუყენებია.

ჰენრი სულის მოსათქმელად შეჩერდა და მაშინ ორმოცდამეოთხემ უთხრა:

— მე მგონი კმარა, მოდი, შევეშვათ, მოვრჩეთ ამ ამბავს.

ბიჭები უკმაყოფილოდ ახმაურდნენ. მათ თვალწინ ხომ კლასის წინამძღოლის არჩევნები მიმდინარეობდა, და ყველა დაინტერესებული იყო ბრძოლის შედეგით.

ჰენრიმ უპასუხა:

— ეი, შენ, მის ნენსი, იქ იდექი, სადაც დგახარ, სანამ არ გავარკვევთ, ვის დარჩება წინამძღოლის სარტყელი, ფეხსაც ვერ მოიცვლი.

— ყველაფერი ხომ ისედაც ნათელია. რა აზრი აქვს გაგრძელებას, შენ ვერ მომერიე, ვერ მცემე, მე კი არავითარი სურვილი არა მაქვს გცემო.

— სურვილი არა ჰქონია ვაჟბატონს! გამომივიდა

---

დასასრული.
იხ. "ნაკადული" 97წ. №4

კეთილი! მაგრად შეინახე ეგ შენი სიკეთე და სანამ არ გთხოვენ, ნუ გამოიჩენ, მიდი!

ახლა უკვე ორმოცდამეოთხე ურტყამდა და ჰენრი ყოველ დარტყმაზე მიწას ენარცხებოდა. მაყურებლები გადაირივნენ. მიხვდნენ, რომ ტირანისა და მწვალებლის აღსასრული დადგა და რომ ამიერიდან მათ დამცველი ეყოლებოდათ. შიში სულ გადაავიწყდათ და გახარებულები ყვიროდნენ.

— ორმოცდამეოთხევ, მიდი, მიაკერე! ერთი გემრიელად მიუჟუჟე! მოადე! კიდევ! ლეწე, მიდი!

ბასკომი შეუპოვარი ბიჭი იყო. ეცემოდა, მაგრამ ისევ დგებოდა და მაშინვე მოწინააღმდეგეზე იწევდა. არაქათი რომ გამოელია, მაშინღა უთხრა მეტოქეს:

— სარტყელი შენია! მაგრამ დამაცადე, კიდევ გაგისწორდები. მე არ ვიყო ჰენრი ბასკომი, თუ არ გაგისწორდე!..

ბიჭებს თვალი მოავლო, რვა მათგანი დაასახელა, მათ შორის ჰეკ ფინიც, და უთხრა:

— იცოდეთ, თქვენ ყველანი სათვალავში მყავხართ, გასაგებია? მესმოდა როგორ ღრიალებდით აქ. მე თქვენ გიჩვენებთ სეირს, დალილავებული ივლით!

ორმოცდამეოთხის თვალებში პირველად იელვა ბრაზმა. იელვა და უმალვე ჩაქრა, და მან მშვიდად უთხრა ჰენრის:

— მე არ მოგცემ მაგის უფლებას.

— შენ? შენ არ მომცემ უფლებას?! ნეტავ, შენ ვინ გკითხავს. ვის აინტერესებს, მომცემ თუ არა უფლებას?



თუ მომინდა, ახლავე გავუსწორდები.

— მე ვთქვი, უფლებას არ მოგცემ-მეთქი და თავს ნუ იგდებ, მე შეგიბრალე, ისე, ცოტათი გცემე, მაგრამ იცოდე, თუ რომელიმეს თითს მაინც დააკარებ, ისე დაგჟეჟავ, რომ შენიანებმა ვეღარ გიცნონ.

ჰენრი სულ გადაირია, ბოღმას ვეღარ მოერია და იქვე მდგომ "შავ სიაში" შეტანილ პირველსავე ბიჭს მიუხდა, მაგრამ ხელის მოქნევაც ვერ მოასწრო, რომ ორმოცდამეოთხემ ერთი გაულაწუნა და ძირს დასცა. კარგა ხანს იწვა ასე დაცემის ადგილზე.

— შეჩერდი!!! ჰეი!!! — მოისმა ჰენრის მამის, არასასიამოვნო და ბოროტი ადამიანის ხმა. ყველას ეშინოდა მისი ღონისა და უკუღმართობისა. მარხილით მიდიოდა სადღაც და ძირს დაცემული შვილის დანახვაზე გაცოფებული გადმოხტა. ბიჭებმა უკან დაიხიეს, ის კი უცნობ ბიჭს ეცა და მათრახი მოუქნია. — მე შენ გიჩვენებ!

ორმოცდამეოთხემ მარჯვედ აირიდა მოქნეული მათრახი და მონებით მოვაჭრეს ხელში სწვდა. გაისმა კვნესა... და ბასკომის მამა კოჭლობით გასცილდა იქაურობას. მიდიოდა და თან იძახდა:

— ღმერთო! ხელი მომტეხეს...

მარხილიდან ახლა ჰენრის დედა გადმოხტა. დამარცხებულ შვილთან და დასახიჩრებულ ქმართან მიირბინა და მოთქმას მოჰყვა, ცოცხალ-მკვდარი ბიჭები მონუსხულები ადევნებდნენ თვალს სანახაობას. ისე გაიტაცა სეირმა, რომ მაშინღა მოეგნენ გონს, როცა მისის ბასკომმა ორმოცდამეოთხის დასჯა მოითხოვა. მიმოიხედეს, მაგრამ ვერ დაინახეს, სადღაც გამქრალიყო.

# სკოლის ბორცვზე

ერთი საათის შემდეგ სოფლელები ვინ სათითაოდ, ვინ ორ-ორნი დაიძრნენ ჰოთჩკინსების სახლისაკენ, ვითომდა მეგობრული ვიზიტით, სინამდვილეში კი საოცარი ბიჭის სანახავად. მასპინძლებს ეამაყებოდათ და უხაროდათ, რომ ბიჭი აწორედ მათთან ცხოვრობდა. მისტერ ჰოთჩკინსის სიამაყე და სიხარული სავსებით გულწრფელი იყო. საოცრად კეთილი და ალალი, თავისი ნათელი გონებითა და განათლებით იგი ბევრად ჯობნიდა დანარჩენ თანასოფლელებს. მაღალი და ტანადი იყო, მეტყველი თვალები ჰქონდა. ჭაღარა რომ არა, ოცი წლით ნაკლებს მისცემდით...

... სტუმრები ისხდნენ და ბიჭს უცდიდნენ. მისის ჰოთჩკინსის დისშვილი ენი ფლემინგი ცალი ყურით დეიდარაშელს უსმენდა, რომელიც ლამის ლეგენდებს ყვებოდა ბიჭზე, მეორე კი ჭიშკრისკენ ჰქონდა მიპყრობილი, აბა ხომ არ გაიღოო.

მან ჯერ კიდევ წინა საღამოს უძღვნა ყარიბს თავისი წმინდა გული, პირველად რომ დაინახა.

ამდენ ხანს რატომ არ ჩანს? სადილად რატომ არ მოვიდა? დრო ძალზე ნელა გადიოდა. სტუმრები სულ უფრო მოუთმენლად ელოდნენ უცნობის მოსვლას. ენი ადგა და ოთახიდან გავიდა. ის იყო, სოფლელებმა ბიჭის უნახავად წასვლა გადაწყვიტეს, რომ ენი დაბრუნდა. გაწბილებული იყო, გულიც სტკიოდა, თუმცა ეს არავის შეუნიშნავს.

— დეიდა, — თქვა ქალიშვილმა, — თურმე მოსულა და ისევ წასულა სადღაც.

— ესე იგი ასე იყო საჭირო, დასანანია, რა თქმა უნდა, მაგრამ დარწმუნებული ხარ ამაში?

— ტანზე გამოუცვლია.

— რა, მისი ტანსაცმელი იქ არის?

— კი, მაგრამ ეს ის ტანსაცმელი არ არის, დილით რომ ეცვა, და არც ის, წუხელის რომ ემოსა.

— მისის ჰოთჩკინს, — მიმართეს მასპინძელს სტუმრებმა, შეიძლება, ვნახოთ ბიჭის ტანსაცმელი?

— შეიძლებაო? ჰმ...

— გეთაყვა, ნება დაგვრთეთ, თვალი შევავლოთ.

გუშაგები დააყენეს, რათა დროულად გაეფრთხილებინათ, თუ ბიჭი გამოჩნდებოდა. ენი სადარბაზო შესასვლელთან დადგა, დეიდა რაშელი — უკანა შესასვლელთან. დანარჩენები კი ორმოცდამეოთხის ოთახისაკენ გაემართნენ. იქ მართლაც ეკიდა ბიჭის ტანსაცმელი, ახალთახალი, ლამაზი პალტო საწოლზე იდო. მისის ჰოთჩკინსმა აიღო იგი, უნდოდა ყველასთვის ეჩვენებინა, მაგრამ ანაზდეულად ჯიბეებიდან ოქროსა და ვერცხლის ფული გადმოცვივდა. მისის ჰოთჩკინსი გახევდა, შეძრწუნებულმა აღარ იცოდა რა ექნა, იატაკზე დაცვენილი მონეტების ბორცვი კი თანდათან იზრდებოდა.

— ახლავე დადე ადგილზე! — დაუყვირა ქმარმა, პალტო ხელიდან გამოჰგლიჯა და საწოლზე მოისროლა.

— უცბად რომ დაბრუნებულიყო და აქ მოესწრო ჩვენთვის, მაშინ?.. როგორ უნდა აგვეხსნა: რატომ შემოვედით მის ოთახში. ახლავე აკრიფეთ ფული და მიბრძანდით...

... სტუმრები წავიდნენ, მისტერ ჰოთჩკინსმა გამოაცხადა, ალბათ ბიჭი თანატოლებთან თამაშს შეჰყვა: თამაშზე მნიშვნელოვანი კი რა უნდა იყოს ამ ქვეყნადო. ჩამობნელდა. ჰორიზონტი მძიმე, თოვლის მომასწავებელმა ლეგა ღრუბლებმა დაფარა და მალე გათოვდა კიდეც.

მოსაღამოვდა, ამ საღამოს შემდგომში დიდი ქარიშხლის დღე ეწოდა. ნამდვილი გრიგალი ამოვარდა. გრიგალმა გრძელ, ვიწრო ზოლად ჩამოუარა ქვეყანას და თოვლით დაფარა სოფლები და პლანტაციები. როგორც თავის დროზე, თვრამეტი საუკუნის წინათ პომპეა დაიფარა ქვებითა და ფერფლით. დიდი ქარიშხალი დინჯად და მეთოდურად შეუდგა საქმეს. ბაქიაობისა და ყვირილის გარეშე. არც ქარი ყოფილა და არც ხმაური! ქუჩაში გამვლელს შეეძლო დაენახა, როგორ ცვიოდა ფანტელები და რბილად, თანაბრად და არტისტულად ეფინებოდა მიწას, თოვლის საფარი სწრაფად და თანაბრად მატულობდა. გამვლელი იმასაც შეამჩნევდა, რომ თოვლი უჩვეულო იყო, ფიფქები კი არ ცვიოდა ციდან, ალმასის ფხვნილივით იბნეოდა.

მერე ქარი ამოვარდა და ავბედითი სიმღერა წამოიწყო. თანდათან გაძლიერდა და მალე მისი ზუზუნი ღრიალად და ღმუილად გადაიქცა. თოვლს მაღლა იტაცებდა და ჰაერში ატრიალებდა. ჰოთჩკინსები სერიოზულად აღელდნენ. სადარბაზოს კარს მიუახლოვდნენ. კარი გაიღო, ავი ქარი ყველაზე მაღალ ნოტზე ამღერდა და ჭერს თოვლი მიაყარა.

— ჩქარა დახურეთ, — იყვირა სახლის პატრონმა. კარი დახურეს, ქარი სახლს აზანზარებდა. ჰოთჩკინსმა სახეზე ხელები აიფარა დ ამოიკვნესა:

— ღმერთო! ასეთ ქარბუქში ბიჭი ნამდვილად დაიღუპება.

... მოულოდნელად განათებულ დარბაზში უცნობი დაინახეს. მათკენ მოდიოდა. აღელვებულმა მისტერ ჰოთჩკინსმა წართმეული ხმით თქვა:

— ო, როგორ მიხარია! იმედი აღარ მქონდა, რომ ცოცხალს განახავდი. ჰოთჩკინსის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სანუკვარი ვისკის ბოთლი გადმოიღო, რამდენიმე წუთში დიდებული პუნში მოხარშა და ჭიქებში დაასხა.

ბიჭმა ოდნავ მოსვა, ესიამოვნა სასმელის გემო და იკითხა, რისგან არის დამზადებულიო.

— როგორ თუ რისგან? ცხადია, ვისკისგან. ახლა მე და შენ მოვწევთ კიდეც. საერთოდ, მე, როგორც თამბაქოსთან მებრძოლი ლიგის პრეზიდენტი, არ ვეწევი, მაგრამ ჩვენი გაცნობის აღსანიშნავად...



წამოხტა და ჩიბუხები ამოიღო, ერთი ბიჭს გაუწოდა, ბიჭმა ინტერესით შეატრიალა ჩიბუხი ხელში, მერე კი ჰკითხა, რა უნდა ვუყო ამას?

— როგორ? — გაიკვირვა მისტერ ჰოთჩკინსმა — შენ რა, იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ არ ეწევი? არასდროს მინახავს ბიჭი, რომელიც არ ეწევა.

— შიგ რა არის, ჩიბუხში?

— ცხადია, თამბაქო.

— ჰო-ო, ვიცი. სერ კოლტერ რელეის აქვს აღწერილი ინდიელთა ყოფის ამსახველ წიგნში. წაკითხული მაქვს.

— ღმერთო ჩემო, წაკითხული მაქვსო! ნუთუ მარტო ის იცი, რაც წიგნებში წაგიკითხავს და სხვა არაფერი? სად დაიბადე?

— მე უცხოელი ვარ.

— შეუძლებელია! უაქცენტოდ რომ ლაპარაკობ? სად გაიზარდე?

— ცაზე.

მისტერ ჰოთჩკინსს ცალი ხელიდან ჩიბუხი გაუვარდა, მეორედან კი — ჭიქა. გაოგნებული მისჩერებოდა ბიჭს.

მერე ცოტა გონზე მოვიდა და უთხრა:

— მოდი, შენი სადღეგრძელო დავლიოთ და გემრიელადაც ვჭამოთ.

— ეს შეიძლება, მაგრამ მე ჭამა არ მინდა.

— არა გშია?

— მე არასდროს მშივდება.

— ძალიან სამწუხაროა, ბევრი დაგიკარგავს. ახლა კი, გეთაყვა, ცოტა რამ მიამბე შენს შესახებ, თუ შეგიძლია...

— მე ადამის გაჩენამდე ბევრად ადრე დავიბადე...

— რაო?!

— რამ გაგაკვირვათ?

— შენი სიტყვები მეტისმეტად მოულოდნელია ჩემთვის. მას შემდეგ ხომ ექვს ათასზე მეტი წელი გამოხდა, შენ კი თხუთმეტიოდე წლის ბიჭივით გამოიყურები...

— მართალია, ასეც არის. თითქმის ასე... დროის ათვლის ჩვენი სისტემით, და არა თქვენით.

— როგორ?

— ძალიან უბრალოდ. ჩვენი ერთი დღე თქვენს ათას წელს უდრის.

ჰოთჩკინსი გაოგნდა. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ძლივს ამოთქვა:

— შენ, რა თქმა უნდა, ფიგურალურად ამბობ?

— არა, არა! პირდაპირი გაგებით ვამბობ. ჩვენი დროის წუთი თქვენი წლის ორმოცდაერთი მთელისა და ორი მესამედის ტოლია. ჩვენი სისტემით მე ახლა თხუთმეტი წლისა ვარ, თქვენი სისტემით კი — თითქმის ხუთი მილიონისა.

— მოყევი, მოყევი, მე ასეთი ასტრონომიული ციფრები ვერც კი წარმომიდგენია.

— ერთი კვირის წინ ცაზე ვცხოვრობდი, რა თქმა უნდა, მე ადრეც იქ ვცხოვრობდი, მაგრამ ჩვენი წელთაღრიცხვით ერთი კვირის წინ თქვენი დედამიწა დავინახე. დამაინტერესა და მისი გამოკვლევა გადავწყვიტე. აი, ამიტომ ვიმყოფები აქ.

... რაიმე განსაზღვრული გეგმა ჯერ არა მაქვს. ადამიანების შესწავლით დავიწყებ. ხვალვე დავიწყებ მოგზაურობას დედამიწაზე. გამოვიკვლევ მრავალ ქვეყანას და ხალხს, შევისწავლი მათ ენებს, წავიკითხავ მათ წიგნებს... მაგრამ, მგონი, დაიღალეთ, არა? დაწექით და დაიძინეთ. ღამე მშვიდობისა!..

მეორე დილით ქარი ჩადგა, ღრუბლებიც გაიფანტა და მათთან ერთად დროის სხვა სივრციდან მოსულიც გაქრა.

თარგმნა
ნელი კალანდაძემ.

# სკოლის ბორცვზე



# ანსამბლ „ბიჭების" ბიჭები

პატარა სცენა ძლივს იტევს ბიჭებს. თამაზ მასწავლებელი ჯერ არ ჩანს, ასე რომ, შეუძლიათ ირბინონ, იცელქონ, იცინონ, იბღლარძუნონ. მაგრამ, კარი გაიღო და... უმალ დადინჯდნენ, თავი დაიოკეს, სამუშაოდ განეწყვნენ. სწორედ რომ სამუშაოდ, იმიტომ, რომ ყოველი სიმღერის შესწავლა-დამუშავება, დახვეწა, ჭეშმარიტად შრომაა.

ბატონი თამაზ ანდღულაძე თავის ადგილს იკავებს და მორიგი რეპეტიციაც იწყება.

— აბა მზად ვართ? დავიწყოთ! პირველი ხმები... არა, არა, არ ვარგა, ცოტა უფრო ხალისიანად, ეს ხომ შრომის სიმღერაა!... გიორგი, უფრო სუფთად, შენი ხმა წკრიალა უნდა იყოს, სხვები უნდა აიყოლიოს, გაამხნევოს, წააქეზოს!.. აბა, თავიდან! კარგია, კარგი, გავაგრძელოთ! ხომ გესმით, რისი თქმა უნდოდა ქართველ ხალხს ამ სიმღერით...

ბიჭები თბილისის 28-ე სამუსიკო სკოლის ანსამბლ "ბიჭების" წევრები არიან, ბატონი თამაზ ანდღულაძე მათი ხელმძღვანელი და ამ სკოლის დირექტორი გახლავთ, ზემოთ აღწერილ სცენას კი მათ მორიგ რეპეტიციაზე შევესწარით.

"ბიჭების" ისტორიიდან.

1988 წელს თბილისის 28-ე სამუსიკო სკოლაში გაიხსნა საგუნდო-ფოლკლორული განყოფილება, რომლის ბაზაზე ცნობილმა მუსიკოსმა და პედაგოგმა, თამაზ ანდღულაძემ ჩამოაყალიბა ანსამბლი "ბიჭები". ანსამბლის რეპერტუარი საქართველოს ყველა კუთხის 40 ხალხურ სიმღერას მოიცავს. დღეს ანსამბლში სხვადასხვა ასაკის 60 ბიჭი მღერის.

"ბიჭების" ბიჭები

11 წლის მიშიკო ხუცურაული. ხუთი წელია ანსამბლში მღერის. ძალიან უყვარს ქართული ხალხური სიმღერები, განსაკუთრებით ცოცხალი, მხიარული, ხალისიანი, მაშასადამე — "ხასანბეგურა", "არამი და შარიქა".

7 წლის ლევან სუპატაშვილი. საოცრად სერიოზული ხდება, როცა საუბარი ქართულ ხალხურ სიმღერას ეხება, დარბაისელი კაცის სიდინჯით აცხადებს, ანსამბლში მოსვლამდე ხალხურ სიმღერებს არ ვმღერ ოდი, ახლა კი ძალიან შემიყვარდაო. ლევანს ყველაზე მეტად მოსწონს შაირები და "ვასოიას ქალი მოჰყავს".

11 წლის სიმონ ჩაჩანიძე. 2 წლის წინ მოვიდა ანსამბლში, ფორტეპიანოს კლასში სწავლობდა, მერე ბატონმა თამაზმა მოუსმინა და პირდაპირ, მოსამზადებელ განყოფილებაზე სწავლის გარეშე ჩარიცხა ანსამბლში. უყვარს ყველა ქართული ხალხური სიმღერა, გამორჩეულად კი "წინწყარო".

ნიკოლოზ ორდენიძე, ილია ლამაზაშვილი, ზურაბ მღებრიშვილი — ეს ტრიო ერთნაირი გატაცებით და ოსტატობით ასრულებს ქართულ ხალხურ საკრავებზე "თუშურს", "სატრფიალოს", ნაწყვეტებს ქართული ოპერებიდან "დაისი" და "ქეთო და კოტე". სხვათა შორის, ტრიოს რეპერტუარი თავის დროზე უბადლო ომარ კელაპტრიშვილმა დაამუშავა, დღეს კი მას ალეკო ხიზანიშვილი ხელმძღვანელობს.

ანსამბლში კიდევ ბევრი ამნაირი თვალმახარა მიხეილი, ნიკოლოზი, ზურაბი, ილია, გიორ-

გი, ლაშა თუ დავითია... ზოგ მათგანს დინჯი ქართლ-კახური სიმღერა უფრო მოსწონს, ზოგს გულში ჩამწვდომი მეგრული, ზოგსაც — ჩახვეული გურული. ყველას ერთად კი ერთნაირი გატაცებით უყვარს ზოგადად ქართული სიმღერა, რომლის ბადალი არსად ეგულებათ.

**"ბიჭების" რეპერტუარიდან**

"მრავალჟამიერი", "ხასანბეგურა", "შენ ბიჭო ანაგურელო", "კალოს ხელხვავი", "წინწყარო", "არამი და შარიქა", "შაირები", "ჩაკრულო" და კიდევ 32 სხვადასხვა კუთხის შეუდარებელი ქართული ხალხური სიმღერა.

**"ბიჭების" გასტროლები**

ანსამბლი იყო გერმანიაში, სინგაპურში, თურქეთში, ყაზახეთში, ჩეხეთში... გერმანიაში ანსამბლმა ფსიქიატრიული სამკურნალოს პაციენტებისთვისაც გამართა ერთი კონცერტი... სინგაპურის ერთ-ერთ მაღაზიაში გამყიდველმა, რომელსაც "ბიჭების" კონცერტი მოესმინა, ანსამბლის ერთ-ერთ წევრს მადლობის ნიშნად ძვირფასი ფეხსაცმელი აჩუქა. "ბიჭების" მიერ ალმა-ათაში გამართულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე მოპოვებული წარმატებისათვის ფესტივალის მესვეურმა, ქალბატონმა ნაზარბაევამ საქართველოს პრეზიდენტს მადლობის წერილი გამოუგზავნა.

**"ბიჭების" ხელმძღვანელი**

თამაზ ანდღულაძე, ქართული ხალხური სიმღერის დიდი მომაგე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, თბილისის 28-ე სამუსიკო სკოლის დირექტორი.

ბატონი ნოდარი უდიდესი რუდუნებით აზიარებს დიდ-პატარა ბიჭებს საოცარ ფენომენს — ქართულ ხალხურ სიმღერას, უნერგავს მისი მოვლა-პატრონობის გრძნობას და იმის შეგნებას, რომ ქართული სიმღერის სიყვარული სამშობლოს სიყვარულის ნაწილია.

**"ბიჭების" მზრუნველ-სპონსორები**

დღიდან დაარსებისა, ანსამბლს ქალაქის კულტურის სამმართველო აფინანსებს, რომლის უფროსი, ბატონი ოთარ ბერძენიშვილი სხვა თანამშრომლებთან ერთად შეძლებისდაგვარად უმართავს მას ხელს. ამას წინათ სამმართველომ "ბიჭებს" ეროვნული ტანსაცმელი და აღკაზმულობა შეუძინა.

დახმარების ხელი გაუწოდა ანსამბლს ფირმა "ბერიკამ" (პრეზიდენტი ქალბატონი ნატალია ჩხიკვაძე), რომლის დახმარებითაც "ბიჭებმა" რამდენიმე კონცერტი გამართეს ჩეხეთში.

**"ბიჭების" აღზრდილები**

ანსამბლის ბევრი ყოფილი წევრი პროფესიონალი მუსიკოსი გახდა. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ მშობლიურ 28-ე სამუსიკო სკოლას დაუბრუნდნენ მასწავლებლებად ყოფილი "ბიჭები" ძმები არჩილ და მალხაზ უშვერიძეები. არჩილი ანსამბლის ლოტბარია, მალხაზი სკოლის კაპელას ხე-



ლმძღვანელობს. ლევან დავითაშვილი ქუთაისის საოპერო თეატრის მთავარი ქორმეისტერია, კულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა დავით შანიძემ ფოლკლორული ანსამბლი "გეორგიკა" ჩამოაყალიბა...

**"ბიჭების" მიზანი, დანიშნულება, მისია, მნიშვნელობა.**

60 ბიჭი, 60 პატარა ქართველი გატაცებით სწავლობს და მღერის შეუდარებელ მშობლიურ სიმღერებს, მათ წინაპრებს, ყველაზე ნიჭიერ, ბრძენ, სიცოცხლისა და შრომისმოყვარე შემოქმედს, ხალხს რომ შეუქმნია, ხელი-ხელ უგოგმანებია და თაობიდან თაობაში გადაუცია.

60 შვინდისფერ ჩოხოსანი პატარა ქართველი ომახიანად მღერის სამშობლოზე, მის წარსულსა და მომავალზე, სიყვარულზე, სიკეთის ძალაზე. მღერის და თავისი სიმღერით მოუთხრობს სხვადასხვა ქვეყნის მსმენელს საქართველოზე, დღეს რომ ასე უჭირს და ხვალ რომ აუცილებლად გაუთენდება ნათელი დღე; მღერის და მშობელი ხალხის უძველეს ისტორიას, უმდიდრეს კულტურასა და უშრეტ შემოქმედებით პოტენციალს აზიარებს იმათ, ვისაც ყურმოკვრით თუ სმენია საქართველოზე; მღერის და უკეთესი მომავლის იმედს უსახავს დღეს შეჭირვებულ თანამემამულეებს; მღერის და ქვეყანას ამცნობს, ჩვენი სიმღერასავით ძლიერი და უკვდავია მისი შემოქმედი ხალხიო...

და კიდევ ერთს ამტკიცებენ "ბიჭების" ბიჭები — ქართულ ხალხურ სიმღერას გადაშენება არ უწერია.

**ნანა მაყაშვილი**

# ფიბონაჩი და მისი მწკრივები

1, 1, 2, 3, 5, 8, 13, 21, 34, 55, 89, 144... დააკვირდით, რიცხვების რა საინტერესო თანმიმდევრობაა: ყოველი მომდევნო წევრი წინა ორის ჯამის ტოლია. მათემატიკაში ამ თანმიმდევრობას ფიბონაჩის მწკრივი ჰქვია. ახლა ვნახოთ ვინ იყო ეს ფიბონაჩი და როგორ მიაგნო მან ამ თანმიმდევრობას.

1202 წელს იტალიელმა ვაჭარმა, ლეონარდო პიზანომ მეტსახელად ფიბონაჩიმ (ეს იტალიური სიტყვა "კეთილი ბუნების ძეს" ნიშნავს), გადაწყვიტა გამოეანგარიშებინა, რამდენი ნაშიერის გაჩენა შეეძლო ბოცვრების ერთ წყვილს ერთ წელიწადში. ფიბონაჩიმ ანგარიშისას იგულისხმა, რომ ბოცვრები არც იავადმყოფებდნენ და არც დაიხოცებოდნენ და რომ ორი თვის ასაკს რომ მიაღწევდა, დედალ-მამალი თვითონ გააჩენდა ყოველთვიურად თითო წყვილს. ფიბონაჩიმ იანვრიდან დაიწყო ათვლა. მაშ ასე, იანვარ-თებერვალში ბოცვრები ნამატს არ მისცემდნენ. მარტში პირველ წყვილს იყოლიებდნენ და ახლა არსებულ წყვილთან ერთად უკვე ორი წყვილი იქნებოდა. აპრილში ბოცვრების პირველი წყვილი კვლავ მისცემს ნამატს. ამრიგად 3 წყვილს მიიღებდა. მაისში ნამატს მისცემს ბოცვრების პირველი წყვილიც და მარტში გაჩენილი წყვილიც და სულ ბოცვრების 5 წყვილი ეყოლება. ასე მსჯელობით ფიბონაჩიმ გამოიანგარიშა, რომ ივნისში 8 წყვილი ბოცვერი ეყოლებოდა, ივლისში – 13, დეკემბერში კი – 144.

მოგვიანებით თავის მათემატიკურ გამოთვლებს ფიბონაჩი "აბაკის წიგნში" შეიტანს, ბოცვრების ამოცანა მათემატიკის ისტორიაში შევა, მის მიერ გამოყვანილი რიცხვთა თანმიმდევრობა – ფიბონაჩის მწკრივი კი თავის დამოუკიდებელ ცხოვრებას დაიწყებს.

პირველი, ვინც ფიბონაჩის მწკრივებსა და მცენარეთა ზრდას შორის კავშირი შეამჩნია, XVII საუკუნის დიდი გერმანელი მათემატიკოსი იოჰან კეპლერი იყო. მაგრამ ფიბონაჩის რიცხვებით სერიოზულად მხოლოდ 150 წლის შემდეგ დაინტერესდნენ.

1754 წელს ცნობილმა შვეიცარიელმა ბუნებისმეტყველმა და ფილოსოფოსმა შარლ ბონემ მცენარის ღეროზე ფოთლების განლაგების შესწავლისას ერთი მეტად საინტერესო კანონზომიერება აღმოაჩინა.

რომ ავიღოთ, ვთქვათ, მუხის ნორჩი რტო და წარმოსახვაში მასზე "მიმაგრებული" ფოთლების ადგილები ხაზით შევაერთოთ, გამოვა რამდენიმე სპირალი, ანუ ე.წ. გენეტიკური ხრახნი. გენეტიკური მას იმიტომ დაერქვა, რომ მასზე ფოთლების განლაგება შეესაბამება მათ გამოჩენას ქვევიდან ზევით. აღმოჩნდა, რომ მანძილები ფოთლებს შორის არაერთნაირია და ისინი ფიბონაჩის მწკრივის რიცხვების: 1, 2, 3, 5, 8, 13...-ის პროპორციულია. ბოტანიკაში ამ მოვლენას ფილოტაქსისი ჰქვია.

მას შემდეგ მრავალი ისეთი ფაქტი დადგინდა, რომლებიც ადასტურებს, რომ ფიბონაჩის მწკრივი ცოცხალი ბუნების ფორმებშიც ვლინდება.

აბა მზესუმზირას დააკვირდით. მარცვლები მის კალათზე ურთიერთგადამკვეთი მრუდების რთულ ნახატს ქმნიან. ახლა კი კალათის ცენტრს ფანქარი დავადოთ და მარცვლიდან მარცვალზე გამოვაყოლოთ. ხომ შეამჩნიეთ, რომ ისინი სპირალების გასწვრივ არიან ჩამწკრივებული, ეს სპირალები კი მარცხნიდან მარჯვნივაც არიან ჩახვეული და მარჯვნიდან მარცხნივაც. გამოთვლით დადგინდა, რომ ერთ მხარეს ჩახვეულია 13 სპირალი, მეორე მხარეს კი – აუცილებლად 21. მზესუმზირის უფრო მოზრდილ თანაყვავილედებში სპირალების რაოდენობა შესაბამისად 21 და 34-ია ან 34 და 55. ოქსფორდში გამოიყვანეს უზარმაზარი მზესუმზირა 233



გადამკვეთი სპირალით, რომელთაგან 89 ერთ მხარეს იყო ჩახვეული, 144 კი – მეორე მხარეს. ყურადღება მიაქციეთ რიცხვებს. ფიბონაჩის მწკრივის ამ რიცხვთა წყვილები ერთმანეთის გვერდით დგას.

ამგვარი მაგალითი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება. დავაკვირდეთ თუნდაც ახალგაზრდა ფიჭვის ტოტს. საოცარია – წიწვები მარჯვნიდან ქვევიდან მარცხნივ ზევით მიმავალ 2 და მარცხნიდან ქვევით მარჯვნივ ზევით მიმავალ 3 სპირალს ქმნიან. ბევრ გირჩაზე ქერცლი გირჩის ღეროზე დამრეცად დახვეულ სამ სპირალზეა განლაგებული, ხოლო 5 სპირალზე საპირისპირო მიმართულებით ციცაბოდ დახვეული, იგივე ქერცლი მოზრდილ გირჩებზე შეიძლება 5 და 8, ის კი არა, 8 და 13 სპირალიც კი აღმოვაჩინოთ. ადვილად შეიმჩნევა ამგვარი სპირალები ანანასზეც. უფრო ხშირად მათი რაოდენობა რვა და ცამეტია. ყველა ეს რიცხვი ფიბონაჩის მწკრივს განეკუთვნება.

ფიბონაჩის მწკრივის კანონზომიერებები მარტო მცენარეთა სამყაროში კი არ ვლინდება, არამედ ცხოველებისაშიც. ადვილი შესამჩნევია ისინი, მაგალითად, მოლუსკების ნიჟარების სპირალებზე. მრავალი ადამიანის სხეულის გაზომვების საფუძველზე დადგენილია, რომ ხელის მტევნის შუა თითის სამი ფალანგაც ფიბონაჩის კანონზომიერებას ემორჩილება. ასე მაგალითად, შუა თითის პირველი ფალანგის სიგრძე 2 სანტიმეტრია, მეორე – 3, მესამე კი 5 სანტიმეტრია. ეს სამი რიცხვი ფიბონაჩის მწკრივს ეკუთვნის და ერთმანეთის გვერდით დგას.

ამჟამად მიმდინარე კვლევები უფლებას აძლევს მეცნიერებს, დარწმუნებით განაცხადონ, რომ ფიბონაჩის მწკრივის კანონზომიერებები ატომურ და მოლეკულურ დონეებზე ელემენტარული ნაწილაკების რაოდენობის თანაფარდობის შედარების დროსაც მჟღავნდება.

მაინც რატომ მეორდება ბუნებაში ასე დაჟინებით ფიბონაჩის რიცხვები? იქნებ ამ უცნაურ რიცხვებს უდიდესი საიდუმლოს – სიცოცხლის საიდუმლოს ახსნამდე მივყავართ?.. თურმე ნუ იტყვით და, მივყავართ.

მიმოიხედეთ. ხომ ამჩნევთ, რომ სიცოცხლე შემთხვევითობათა ქაოსი კი არ არის, არამედ გენეტიკურად გამაგრებული პროგრამების განხორციელებაა და ფიბონაჩის მწკრივის კანონზომიერებანი ამ პროგრამის ერთ-ერთი ენა, ალგორითმია.

მაგრამ რალა მაინცდამაინც ფიბონაჩის მწკრივი აირჩია ბუნებამ ორგანულ ზრდასთან დაკავშირებული მოვლენების აღწერისათვის? ეს გამოცანა ჯერაც აუხსნელი რჩება.





# სწრაფად, სწრაფად, უფრო სწრაფად!

ბოლო ხანებში თბილისის ეზო-ქუჩებშიც იმატა გორგოლაჭებიან ციგურებზე ("როლიკებზე") შემდგარი გოგო-ბიჭების რიცხვმა. სპორტის სასახლეში კი ამ გართობის მოყვარულთ რამდენიმე ლარად შეუძლიათ გული იჯერონ მის ვესტიბიულებში ქროლვით. მაგრამ ვიდრე სპორტისა თუ გართობის ეს, შედარებით ახალი სახეობა ჩვენში ფეხს იდგამს, მსოფლიოში თურმე 40 მილიონზე მეტი ადამიანი მოძრაობს გორგოლაჭებზე შემდგარი. ზოგს გორგოლაჭებიანი ციგურები უბრალოდ ტრანსპორტის მაგივრობას უწევს, სხვებისთვის ეს ფიზიკური გაკაჟების საშუალებაა, ახალგაზრდებისა და მოზარდების გარკვეული კატეგორიისათვის კი ეს გატაცება სწორ გზაზე დიდი სიჩქარით რბოლის, აკრძალული ტრიუკების შესრულების, მოაჯირებსა თუ ბორდიურებზე ქროლვის სიამოვნების მიმნიჭებელი რამაა. სწორედ ამის გათვალისწინებით ამზადებენ უცხოეთის ფირმა წარმოებები სხვადასხვა სახის გორგოლაჭებიან ციგურებს – სარბენს, ნახევრადსპორტულს, გასასეირნებელს, ჰოკეის სათამაშოდ განკუთვნილს და ა.შ. საერთოდ კი ამ პროდუქციის მწარმოებელი წამყვანი ფირმები – Bauer, Roces, Oxugen, Rollerblade, K-2, Ultra Wheels და სხვები 60-მდე სხვადასხვა მოდელს სთავაზობენ "როლერებს". შეიძლება ერთი შეხედვით უბრალო და ადვილი დასამზადებელი გეგონოთ, მაგრამ ნურას უკაცრავად, აქ უმცირესი ნიუანსებიც კი გასათვალისწინებელია. გორგოლაჭების დამზადებისას, ისევე როგორც თვითმფრინავის დაპროექტების დროს მხედველობაში მიიღება მათი აეროდინამიკური, სავალი და ერგონომიური (მოხერხებულობის უზრუნველმყოფელი) თვისებები. ყელიანი ფეხსაცმლის გარეთა გარსი პოლიურეთანის ან ელასტიური ნეილონისგან მზადდება, რომელიც მჭიდროდ არის ხოლმე მომდგარი ფეხზე. ზოგიერთ მოდელში გათვალისწინებულია შიდა რბილი ჩექმის ვენტილაცია, რისთვისაც მასში ნახვრეტებია გაკეთებული, ზოგი ფირმა ფეხსაცმლის "რბილ" ვერსიას სთავაზობს როლერებს. ასეთი მოდელებია მაგალითად, Los Angeles, San Francisco, ATV, K-2 და სხვ. ასეთი ციგურები, ცხადია, ჩვეულებრივზე უფრო ძვირია. ზოგიერთ მოდელში გამოყენებულია Bio Flex-ის სისტემა, როცა ფეხსაცმელი ორი სხვადასხვა სახის პლასტიკისგან მზადდება, რაც ზრდის მის ელასტიურობას, დარტყმის საწინააღმდეგო თვისებებს კი არ ამცირებს. შიდა ჩექმა ქაფმასალებისა და პლასტიკის ნარევისგან კეთდება, შიგნით კი მასში ვიბრაციის ჩამხშობი ანატომიური სადები იდება.

ციგურის მთელი კონსტრუქცია მონოლითურ ჩარჩოზე მაგრდება. როგორც წესი, აქ ლითონი (ალუმინის შენადნობი) ანდა მტკიცე პლასტმასა გამოიყენება. ტრიუკებისთვის განსაზღვრული ნაირსახეობის ჩარჩო პოლიამიდისაა, რაც ციგურებს მოაჯირებისა და მილების ზედაპირზე სრიალის საშუალებას აძლევს. აგრესიული ქროლვის მოყვარულებისთვის, რომლებსაც ნიადაგ ემუქრება მიწაზე დახეთქება-დარტყმები, სუფ-



თა ალუმინის ჩარჩოებიან ციგურებს უშვებენ, რაც საგრძნობლად ამსუბუქებს მათ წონას. ასეთი ციგურების ფეხსაცმლის ლანჩა კი სიმტკიცისთვის და გამძლეობისთვის კომპოზიტისგან მზადდება. როგორც წესი, ეს ოთხბორბლიანი დახურულჩარჩოიანი (ბორბლები თითქმის სულ არ ჩანს) ციგურებია, ჩარჩოს შუაში დამამაგრებელი ლითონის ფირფიტა აქვს მიმაგრებული. ძვირფას მოდელებში გათვალისწინებულია რეგულირებადი მუხრუჭი, რომელიც კიდევ უფრო ზრდის უსაფრთხოებას. ჩქაროსნული რბოლის მოყვარულთა უსაფრთხოებას ორი სახის შესაკრავიც უზრუნველყოფს – ბაკლეი (ავტომატური შესაკრავი) და თასმები.

მთავარი გორგალაჭიან ციგურებში მაინც საკისრებია, რომლებზეც ბორბლები ტრიალებს. სხვათა შორის საკისრების ავკარგიანობის შეფასება ყველა თქვენგანს შეუძლია, უბრალოდ სრიალის დროს ყური უნდა მიუგდოთ – თუ ბორბლები უხმაუროდ მოძრაობს, კარგი ციგურები გქონია, ხოლო თუ საშინლად გრიალებს, შენი გორგოლაჭების საქმე მთლად კარგად ვერ ყოფილა.

მაგრამ რომ იცოდე, ყველაზე ცუდი ამ შემთხვევაში ის არის, რომ უხარისხო შენადნობის საკისრები მალე ფუჭდება, იშლება და ადვილი შესაძლებელია ერთი-ორი კვირის ყოველდღიური ვარჯიშის შემდეგ გახურებული ქროლვის დროს ბორბლები სულაც მოსძვრეს.

თითქმის ყველა მოდელის ციგურები, გარდა ხუთბორბლიანი სარბენისა, ოთხ ბორბალზეა შემდგარი. რაც უფრო დიდია ბორბლების დიამეტრი, მით უფრო სწრაფია სრიალი. ძვირფასი ციგურების ბორბლები რბილი პოლიურეთინისგან მზადდება, უფრო დაბალი ხარისხის მოდელის მაგარი ბორბლები პლასტმასისაა, ხოლო ასეთი ბორბლები თითქმის სულ ვერ ახშობს ვიბრაციას, ამიტომაც გამოდის ასეთი მოდელების საკისრები მწყობრიდან ასე სწრაფად. თუმცა არც საუკეთესო ხარისხის რეზინის ბორბლებია მუდმივი და მათი გამოცვლაც საჭიროა ხოლმე, სეზონში ორჯერ მაინც. სტანდარტულად ითვლება 44, 56, 62, 67, 70, 72, 76 და 80 მმ. დიამეტრის ბორბლებიანი ციგურები. 76-80 მილიმეტრიანი ბორბლები სწრაფი სრიალის მოყვარულებისთვის არის განკუთვნილი. აგრესიული ქროლვისთვის 44-67 მმ. ბორბლებიანი ციგურები იხმარება. ისინი, ვინც სერიოზულად არიან გატაცებული გორგოლაჭებიანი ციგურებით, ბორბლების სიხისტესაც აქცევენ ყურადღებას, ამ უკანასკნელის ინდექსი 78-101 პირობითი ერთეულის დიაპაზონში მერყეობს. უხეში, უსწორმასწორო ზედაპირისთვის 78-82 პირობითი ერთეულის სიხისტე ვარგა. გლუვი, სწორი ზედაპირისთვის კი სიხისტის უმაღლესი ხარისხი ჯობია – 88-101 პირობითი ერთეული.



# ცვივა ციდან ფანტელი...

თითქოს არ ჩქარობს ზამთარი, დინჯად შემოდის, ნელ-ნელა გვაჩვევს ყინვას. მერე კი როგორც ზღაპარში, უცბად, ერთ ღამეში აგებს ვერცხლის სასახლეს, ფიფქით მორთავს არემარეს, მიწას თოვლის საბანს წაახურავს, გუბეებს, ტბებსა და მდინარეებს ყინულით მოაარშიებს... გამოიღვიძებ ერთ მშვენიერ დილას და შეჭირხლული ფანჯრიდან ნამდვილ თოვლიან ზამთარს დაინახავ, უკეთ დასანახად კი უმალ მინის დაორთქვლა და გაწმენდა მოგინდება, მაგრამ ნუ იჩქარებ, დააკვირდი, ჭირხლის რა ლამაზი ნახჭები გამოუყვანია ყინვას, ზოგი ნაძვის ტოტს გავს, ზოგი – საოცარ ყვავილს, ზოგი – წვრილწვრილ ნემსებს... თუ ერთი ფანჯრიდან მეორისკენ გადაინაცვლებ, იქ სხვა ნახატები დაგიხვდება, მესამეზე – სხვა... ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ყინვა ამ ნახჭებს ჩვენი დახმარებით ხატავს. ჭირხლი ხომ მცენარეებზე და სხვა საგნებზე წიწვივით შეყინული ორთქლია. ჩვენს მიერ ამოსუნთქული თბილი ნესტიანი ჰაერი ძალიან ცივ მინას რომ ეხება, იყინება და ყინვის პაწაწკინტელა კრისტალებად იქცევა, რთულ ნახატებსა თუ სახეებსაც სწორედ ეს კრისტალები ქმნის. ამის შემოწმება სულ ადვილად შეიძლება. ხელი მიადე შეჭირხლულ მინას, ის ადგილი ჩამოდნება, ახლა დააორთქლე იგი და დაინახავ, როგორ გაჩნდება ყინულოვანი კრისტალების ნემსები. ყინულოვანი ნემსები შეხვედრისას ერთმანეთს შეეზრდებიან და ქმნიან ნახჭს, რომელიც უამრავი პაწაწა კრისტალისგან შედგება.

მაგრამ ყინულოვანი ნახჭები ცივი სათავსოების ფანჯრებზე თუ მაღაზიების ვიტრინებზეც ჩნდება, მაგრამ აქ ყინულის კრისტალები ადამიანის დაუხმარებლად ილექება ჰაერიდან. ჰაერში ყოველთვის



არის წყლის ორთქლი – უფერული და უხილავი გაზი, რომელიც "ხატვაში" ეხმარება ყინვას. თუ ყურადღებით დააკვირდები, შეამჩნევ, რომ ჭირხლი სხვადასხვა ფერია: ღრუბლიან დღეს – ცისფერი, მზეზე – ყვითელი, ჩამავალ მზეზე – ვარდისფერი და იისფერი.

მაგრამ ყინვა მარტო ფანჯრებს როდი ახარატებს ჭირხლით, იგი მიწაზეც ხატავს ყინულოვან ყვავილებს. ფოთლის ან ყვავილის მოყვანილობის ნახჭები ჭირხლდაკრულ ფხვიერ, ოდნავ ნოტიო ნიადაგზე უნდა ათვალიერო. უფრო ხშირად ყინულოვანი ყვავილები იქ ჩნდება, სადაც თბილი ჰაერი გამოდის, ვთქვათ, იქ, სადაც მიწის ქვეშ თბოტრასის მილები გადის, სადაც სავენტილაციო ლიუკებია. ასეთ შემთხვევაში ყინულის კრისტალები ჯგუფ-ჯგუფად არის განლაგებული და უფრო ხშირად პალმებს, გვიმრებს, სხვადასხვა ყვავილებს მოგვაგონებს...

თოვს, უთვალავი ფიფქი ცვივა ღრუბლებიდან, მოფარფატებენ, ტრიალებენ, ცეკვავენ ფანტელები. შეუშვირე ხელთათმანიანი ხელი თოვლს და დააკვირდი ზედ დაშვებულ ფიფქებს, ოღონდ ცხვირ-პირზე ხელი მიიფარე, შენმა თბილმა სუნთქვამ რომ არ დაადნოს თოვლის ვარსკვლავი. ხედავ, რამდენნაირი მოყვანილობის კრისტალისგან შედგება ფიფქი, გეგონება არც ერთი არ ჰგავს მეორეს, მაგრამ მეცნიერებმა დაადგინეს, რომ არსებობს ცხრა ძირითადი მოყვანილობის ფიფქი და სახელიც დაარქვეს ყოველ მათგანს: ფირფიტა, ვარსკვლავი, სვეტი, ნემსი, ბუსუსი, ზღარბი, საკინძი, გაყინული ფიფქი, ხორხოშელა. მაგრამ ფიფქები იმდენად სხვადასხვაგვარია, რომ ყოველი ასეთი თოვლის კრისტალი შეიძლება ძალზე მრავალი სახით შეგვხვდეს. მაგალითად, ვარსკვლავს შეიძლება ჰქონდეს სამიდან თორმეტამდე ქიმი. ზღარბისებრი ფიფქი კი შეიძლება ფირფიტოვანიც იყოს და ვასრკვლავისებრიც... 48 სახე, ვარიანტი, კომბინაცია. ეს ფიფქები, ერთად შეკრულ-შეწებებული ფიფქები კი ბამბის ქულების მსგავს ფანტელებს ქმნიან, რომლებიც ფაფუკ თოვლად ეფინებიან დედამიწას, სახლებს, ხეებს.

# შემოვაქსოვთ საქართველოს ჯაჭვის პერანგში...



## დროშა-ალამი

სამხედრო დროშა სამხედრო ნაწილის სიმბოლოა და იგი წარმოადგენს ქუდიან ტარზე მიმაგრებულ განსაზღვრული ზომისა და ფერის ქსოვილის ნაჭერს.

პირველი დროშები ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში გაჩნდა. მაშინ მათ ლაშქრის სახმობი და გამაერთიანებელი დანიშნულება ჰქონდა. მაღალ ლატანზე რაიმე გამოსახულებას ან წარწერებიანი თუ სიმბოლოებიანი ქსოვილის ნაჭერს ამაგრებდნენ. მაგალითად, ძველ რომში საბრძოლო დროშად ხის ტარის წვერზე დამაგრებული არწივი ითვლებოდა.

XV საუკუნიდან მოყოლებული საფრანგეთში, მერე კი სხვა ქვეყნებშიც საბრძოლო დროშებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. ამიერიდან ისინი სიმამაცისა და ღირსების სიმბოლოდ იქცა. მათ ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც კი იცავდნენ მტრისგან. დროშების დაკარგვა მებრძოლისა და მთელი ჯარის სირცხვილი იყო. მეორეს მხრივ მოწინააღმდეგის დროშის ხელში ჩაგდება დიდ ვაჟკაცობად ითვლებოდა და გამარჯვების სიმბოლიკის ნაწილს წარმოადგენდა.

სიტყვა "დროშა" ქართულ წერილობით წყაროებში IX საუკუნიდან გვხვდება. დროშის აღსანიშნავად ქართულში სხვა ტერმინებიც იხმარებოდა – "დრუჯი", "ბაირაღი", "ბავრაყი". დროშის ტარს ქართულ წყაროებში ეწოდება "მელი" ან "ბუნი". არსებობდა სახელმწიფო დროშა, საეკლესიო, ლაშქრის დროშა (ლაშქრის ცალკეულ ნაწილებსაც თავ-თავისი დროშები ჰქონიათ). დიდმნიშვნელოვანი მოვლენების, ვთქვათ, მეფედ კურთხევის, ლაშქრად წასვლის და სხვა დროს გამოჰქონდათ საქართველოს სახელმწიფო, სეფე დროშა. მაგალითად, "ქართლის ცხოვრება" გვაუწყებს, რომ როცა ქართველთა ჯარი სპარსელებზე სალაშქროდ გაემზადა, თამარმა "მოიღო დროშა სვიანად ხმარებული, გორგასლიანი და დავითიანი და ლაშქარი დალოცა და წარავლინა სპარსეთს". ფეოდალურ საქართველოში არებობდა სადროშო, სამხედრო-ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული. სადროშოდან გამოყვანილი ჯარი ბრძოლის დროს ერთ სამხედრო-ტაქტიკურ შენაერთს ქმნიდა, რომელსაც ასევე სადროშო ერქვა. სადროშო ერთ სარდალს ექვემდებარებოდა, მის სიმბოლურ ნიშანს კი დროშა წარმოადგენდა. XI-XV საუკუნეებში საქართველოში ოთხი მსხვილი სადროშო არსებობდა: 1. მეწინავე – სამხრეთ საქართველო, 2. მემარჯვენე – დასავლეთ საქართველო, 3. მემარცხენე – ქართლის აღმოსავლეთით მდებარე პროვინციები, ძირითადად ჰერეთ-კახეთი, 4. მეფის სადროშო – შიდა ქართლი. ამ მსხვილ სადროშოებში შედიოდა უფრო მცირე სადროშოები – საერისთავოები. ერისთავს, როგორც თავისი საერისთავოდან გამოყვანილი ჯარის სარდალს, განსაკუთრებული დროშა ებარა. საქართველოს ამირსპასალარის განკარგულებაში 12 დროშა იყო. თითოეულ სადროშოში შედიოდა 1000 კაცი.

## მცირე სამხედრო ლექსიკონი

**გენერალი** (ლათ. generalis – საერთო, მთავარი), შეიარაღებული ძალების უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის სამხედრო წოდება ან ჩინი. პირველად საფრანგეთში შემოიღეს (XVI ს).

**გენერალისიმუსი** (ლათ. generalissimus – ყველაზე მთავარი) – უმაღლესი სამხედრო წოდება ზოგი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. ენიჭებოდათ მხედართმთავრებს, რომლებიც ომის დროს სარდლობდნენ რამდენიმე არმიას ან სამეფო დინასტიის წევრებს და სახელმწიფო მოღვაწეებს, როგორც საპატიო წოდება. 1569 წელს საფრანგეთის მეფე შარლ IX-მ გენერალისიმუსის წოდება მიანიჭა თავის 18 წლის ძმას (შემდეგში მეფე ანრი III). მას შემდეგ ეს წოდება ჰქონდათ: საფრანგეთში – ჰერცოგ ა. დე გიზს (1550-88), პრინც დე კონდეს (1621-88), ჰერცოგ კ.ლ. ვილარს (1653-1734), ჰერცოგ ა. რიშელიეს (1696-1788); ავსტრიაში – თავად რ. მონტეკუკოლის (1609-80). პრინც ოიგენ სავოიელს (1663-1736), გრაფ ლ. დაუნს (1705-66), ერცჰერცოგ კარლს (1771-1847), თავად ფ. შვარცენბერგს (1771-1820); გერმანიაში – გრაფ ა. ვალენშტაინს (1583-1634); რუსეთში – მხედართმთავარ ა. შეინს (1662-1700), თავად ა. მენშიკოვს (1673-1729), პრინც ანტონ ულრიხ ბრაუნშვაიგელს (1714-74), ა. სუვოროვს (1729-1800); სსრკ-ში 194[illegible] წლის 27 ივნისს გენერალისიმუსის წოდება მიენიჭა იოსებ სტალინს.

**დივიზია** (ლათ. divisio – დაყოფა) – ტაქტიკური შენაერთი სახმელეთო ჯარებში, სამხედრო-საჰაერო ძალებსა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში. დივიზია არის ქვეითი (მსროლელი, მოტომსროლელი, მოტორიზებული, მოტოქვეითი), მექანიზებული, კავალერიის, საზენიტო, სატანკო (ჯავშანსატანკო), საავიაციო, საჰაერო-სადესანტო, აერომობილური, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისა და სხვ. დივიზიებად დაყოფა საფრანგეთსა და რუსეთში XVIII საუკუნეში შემოიღეს, XIX საუკუნეში კი უმეტეს სახელმწიფოთა არმიებშიც. თანამედროვე დივიზია შედგება პოლკების, ბრიგადების ან ბრიგადების ჯგუფებისაგან. მის შემადგენლობაში შედის სხვადასხვა გვარების ჯარებისა და სპეციალური ჯარების ნაწილები და სხვადასხვა სამსახურები. რაოდენობა და შემადგენლობა სხვადასხვაა. მაგალითად, აშშ-ში მექანიზებულ დივიზიაში შედის 18 ათასზე მეტი ადამიანი, დაახლოებით 190 ტანკი, 2,8 ათასამდე ავტომანქანა და სხვა.

**დესანტი** (ფრ. descante – გადასხმა, დაშვება) – მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე გადასასხმელად საგანგებოდ მომზადებული ჯარი. მასშტაბისა და მიზნის მიხედვით დესანტი შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული, გადასხმის ხერხისა და საშუალების მიხედვით – საზღვაო, სატანკო და კომბინირებული.

## მარცხენა! ერთი, ორი... მარცხენა!

ვის არ გაუგონია ოფიცრის ეს ბრძანება, რომელიც ჯარისკაცებს მიუძღვის წინ. ისიც ყველამ ვიცით, რომ ნებისმიერი საზეიმო სვლის დროს, აღლუმზე იქნება თუ სპორტულ ღონისძიებაზე, მწყობრად სიარულს მარცხენა ფეხით ვიწყებთ. რატომ? რატომ მაინცდამაინც მარცხენით?



აი რატომ. უძველეს დროში, როცა მეომრის ძირითადი იარაღი ფარ-ხმალი იყო, საბრძოლველად რომ ემზადებოდა, იგი მარცხენა ფეხს წინ წადგამდა და მკერდის მარცხენა მხარეს ფარით იფარავდა, მარჯვენაში კი მახვილი ეპყრა (შუბი, ხმალი და ა.შ.). იქიდან მოყოლებული, შემდგომში საწვრთნელ ვარჯიშებზე შეიარაღებული მამაკაცები ყველა ილეთს მარცხენა ფეხით იწყებდნენ. ასეა დღესაც.




ერთხელ ღვთისმეტყველების დოქტორს, დუბლინის ერთ-ერთი ტაძრის მოძღვარს ჯონათან სვიფტს მოუტანეს ახლად გამოსული წიგნი "რობინზონ კრუზოს ცხოვრება და საოცარი თავგადასავლები", რომელსაც მთელი ბრიტანეთი გატაცებით კითხულობდა. პირქუშმა ღვთისმეტყველმა ერთი კი ჩაიკითხა წიგნი, "საძაგლობააო" ამრეზით თქვა და თვითონ შეუდგა წერას. იგი ადრეც წერდა წიგნებს, მაგრამ ძირითადად გესლიან პოლიტიკურ პამფლეტებს...

ახლა კი მოდით, გავიხსენოთ, რომელ ხანაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სვიფტი. XVII საუკუნე. ახალი აღმოჩენილი იყო, რომ დედამიწა სფეროა და ზღვის გაღმა უამრავი ქვეყანა ყოფილა. ზღვაოსნობა ყვავის. ინგლისი მეორეხარისხოვანი ევროპული ქვეყნიდან მსოფლიო ზესახელმწიფო ხდება. რამდენი რამ არის სანახავი და აღმოსაჩენი! მომრავლდა წიგნები მოგზაურობების, საზღვაო თავგადასავლების, უცნობი ცხოველებით, მეკობრეებით, ველური ტომებით დასახლებული კუნძულების შესახებ...

და აი, სწორედ ამ დროს ჯონათან სვიფტმა გვერდზე გადადო სანახევროდ დაწერილი პამფლეტები და რომანს ჩაუჯდა. წერს აუჩქარებელი ტონით, თანაბრად, არ ტოვებს არც ერთ წვრილმანს. წერს ჩვეულებრივზე და არაჩვეულებრივზე. ოღონდ ისე, რომ მკითხველი მიხვდეს. ამ წიგნში ყველაფერი გამოგონილია.

წიგნს წამძღვარებული აქვს მოგონილი გამომცემლის წინასიტყვაობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ "მთელი ნაწარმოები სიმართლით სუნთქავს". ვითომ ასეა? სიმართლეა ეს ლილიპუტები, გოლიათი-ბრობდინგნეგები, მფრინავი კუნძულები და ცხენების, გონიერი გუიგნგმების ქვეყანა? მწერალი სერიოზულად გვესაუბრება ყოველივე ამის შესახებ. ისე გვიყვება, როგორც ნამდვილ ამბავს. და აი რა მოხდა: დაიჯერეს, გულივერი დაიჯერეს. თუმცა ამბობენ, ერთ-ერთ მაშინდელ მკითხველს მაინც შეპარვია ეჭვი: "ერთი რამ მაინც ნაკლებ დასაჯერებელიაო", უთქვამს როცა წიგნის ის ადგილი წაუკითხავს, სადაც გულივერი თოკებით მფრინავ კუნძულზე აჰყავთ. მაგრამ XVII საუკუნეში უზარმაზარი სამყარო ჯერაც ამოუცნობშეუსწავლელი იყო და ხალხიც ფიქრობდა, ვინ იცის, იქნებ სადღაც მართლა არსებობს ლილიპუტების ქვეყანა და მფრინავი კუნძულიო...

ასე იშვა გულივერი. მაგრამ არც ეს არის ყველაფერი. აბა დავფიქრდეთ, დღეს ხომ ყველამ ვიცით, რომ არც ლილიპუტების ქვეყანა არსებობს და არც გუიგნგმები არიან სადმე. "გულივერს" კი მაინც ვკითხულობთ. რატომ? ბევრი მიზეზით და უწინარეს ყოვლისა, ალბათ, იმიტომ რომ ის ქვეყნები, რომლებშიც გულივერი მოხვდა, მართლაც არსებობს. კი ბატონო, ლილიპუტები და გოლიათები არ არსებობენ, მაგრამ ისეთი ხელმწიფეები, ლილიპუტეთის ხელმწიფე რომ არის, დღესაც უამრავია. ამ ხელმწიფის ტიტული თუ გახსოვთ: "ლილიპუტეთის იმპერატორი, მთელი სამყაროს დამამშვენებელი და შიშისმომგვრელი, ფეხებით დედამიწის ცენტრს ებჯინება, თავით კი მზეს ეხება ..." ახლა ისიც გავიხსენოთ, გულივერი როგორ ახასიათებს მას. "იმპერატორი თავის ქვეშევრდომებზე მთელი ფრჩხილით მაღლა იდგაო".

განა არ გვეცნო ეს სიტუაცია, იგი ხომ ასე გავრცელებულია. ან კიდევ მინისტრები ავიღოთ, რომლებმაც მონარქის თვალწინ უნდა იხტუნონ და იცეკვონ ბაგირზე, ხოლო ის, ვინც მოხერხებულად გადაახტება ჯოხს მონარქს რომ უჭირავს ხელში, ჯილდოდ ლურჯ, წითელ ან მწვანე ძაფს მიიღებს. (ეს სულ ბრიტანეთის უმაღლესი ჯილდოების ფერებია). თუ გახსოვთ, ლილიპუტეთში ორი პარტიაა - მაღალქუსლიანებისა და დაბალქუსლიანების. "პარტიებს იმდენად სძულთ ერთმანეთი, — გვიამბობს გულივერი, — რომ ერთი პარტიის წევრები არც დალევენ, არც შეჭამენ მეორე პარტიის წევრებთან ერთად და არც დაელაპარაკებიან მათ". მაინც რისთვის ქიშპობს ეს ორი პარტია — თურმე ის ვერ გადა-



უწყვეტიათ, ერთხელ და სამუდამოდ, მაღალი უნდა იყოს ქუსლი თუ დაბალი. თუმცა ამ შემთხვევაში მწერალი ინგლისსა (ლილიპუტეთი) და საფრანგეთს (ბლეფუსკუ) გულისხმობს, რომ იცოდეთ, მსოლიოს რამდენ ქვეყანაშია დღესაც ასეთი პარტიები, ალბათ კიდევ უფრო დაუფასებთ სვიფტს სიბრძნესა და გამჭრიახობას.

წიგნში ლილიპუტეთის მეზობლად მდებარე მეორე "დიად იმპერიაზე, ბლეფუსკუს კუნძულზეც არის ლაპარაკი, რომელიც 36 წელი ებრძვის ლილიპუტეთს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ორ მძლავრ სახელმწიფოს ვერა და ვერ დაუდგენია, საიდან უნდა გაიტეხოს კვერცხი — მახვილი ბოლოდან თუ ბლაგვიდან? ერთი ქვეყნის მეცნიერებმაც და მეორისამაც უამრავი ნაშრომი დაწერეს ამ საკითხზე, ლილიპუტეთის მბრძანებელმა კი საგანგებო კანონიც გამოსცა, რომლის თანახმადაც ყველა მის ქვეშევრდომს კვერცხი მახვილი ბოლოდან უნდა გაეტეხა, სისხლისმღვრელი ომიც ამიტომ ატყდა.

სვიფტი დაუნდობელია ადამიანური უგუნურების ნებისმიერი გამოვლინების მიმართ. თუნდაც ლაპუტუელი ბრძენკაცი "მეცნიერები" ავიღოთ, მთელი სიცოცხლე კიტრიდან მზის სხივების მიღებას რომ ლამობდნენ ცივი ზაფხულის შემთხვევაში ჰაერის გასათბობად. მაგრამ ყველაზე მეტ სისასტიკეს ჯონათან სვიფტი იმ დროს ახლად ფეხადგმული კლასისადმი იჩენს. ვაჭრები და მედუქნეები მისი ბასრი კალმის წყალობით ადამიანის მსგავს ჭუჭყიან, ბოროტ, ხარბ ცხოველებად ქცეულან, რომლებიც განუწყვეტლივ ებრძვიან ერთმანეთს, ცდილობენ, ყელი გამოღადრონ მეზობელს, რათა ხელში ჩაიგდონ ბრჭყვიალა ქვები, რომლებსაც მერე ღრმა ორმოებში ფლავენ.

დიახ, დაუნდობელი, ბასრი წიგნი გამოუვიდა დუბლინელ ღვთისმეტყველს, მაგრამ გულიევერი გვავიწყდება, მთავარი კი სწორედ ის არის — კეთილი, ძლიერი, გონიერი, უშიშარი ექიმი, მისი გარემომცველი არანორმალური სამყაროს ფონზე გოლიათად რომ იქცევა ჩვენს თვალში. ის არც ლილიპუტია, არც ბრობდინგნეგი, არც ეჰუ, არც ლაპუტუელი, არც გუიგნგმი, არამედ ადამიანია, რომელმაც ბოლომდე შეინარჩუნა თავისი მეობა.



# კითხვა — თქვენი

**ყველა ადამიანს ესიზმრება თუ არა სიზმარი და საერთოდ, რატომ ვნახულობთ სიზმრებს?**

თეონა პაპიაშვილი,
ქ. კასპი



გახსოვთ, ჰანს ქრისტიან ანდერსენის მშვენიერი ზღაპარი "ოლე ლუკოიე"? ყოველღამე ესტუმრება ეს მხიარული ქონდრის კაცი ბავშვებს, თავზე ჭრელ ქოლგას გადააფარებს და ისინიც მთელი ღამე ჯადოსნურ ზღაპრებს ხედავენ სიზმრად...

მეცნიერებამ ზუსტად ჯერ არ იცის, რატომ გვესიზმრება სიზმრები, იმაზე კი უფრო გარკვევით შეიძლება ლაპარაკი, თუ რისთვის ვნახულობთ მათ. თურმე ღამეული ხილვები ტვინის გაუცნობიერებელი შემოქმედებითი მუშაობა, რომელიც ისევეა საჭირო, როგორც დღის განცობიერებული მუშაობა, სწორი, სრულფასოვანი ძილის დროს ტვინი თავისუფლდება დღის განმავლობაში დაგროვილი დაძაბულობისაგან, კონფლიქტებისაგან. ზოგჯერ კი ისეთ პრობლემათა ამოხსნასაც აგნებს, რომლებზეც ცხადში ამაოდ იმტვრევდა თავს. ცნობილია, რომ ძილში ხშირად მიუგნიათ მეცნიერული აღმოჩენისათვის, — მენდელეევმაც ხომ სიზმრად იხილა თავისი ცნობილი ტაბულა, — დაუწერიათ საუცხოო მუსიკა — საერთოდ დადგენილია, რომ რაც უფრო ნიჭიერია ადამიანი, მით უფრო საინტერესო, ორიგინალურ სიზმრებს ნახულობს ძილში.

მაგრამ ისეთი ადამიანებიც ხომ არსებობენ, რომლებიც ჩივიან არასდროს არაფერი გვესიზმრებაო. ე. ი. რა, ისინი უნიჭოები ყოფილან? ცხადია, არა. სიზმარს ყველა ნახულობს, ოღონდ ყველა ვერ იმახსოვრებს. ხოლო ვინც იმახსოვრებს, იმასაც თითო-ოროლას მოყოლა თუ შეუძლია ხოლმე, თუმცა სინამდვილეში ერთ ღამეში უფრო მეტს, ოთხს, ზოგჯერ კი ექვს სიზმარსაც ნახულობს. ყოველი საათნახევრის შემდეგ ხილვებს მოკლებული ღრმა ძილს განსაკუთრებული, ეგრეთწოდებული "სწრაფი" ძილი ცვლის — სწორედ მაშინ გვესტუმრება ხოლმე ოლე ლუკოიე, ოღონდ მცირე ხნით. მისი ვიზიტი პატარა მულტფილმზე მეტხანს არ გრძელდება. ამის შემდეგ ძილი კვლავ ღრმა ხდება. და მაინც, დიდი დანიელი მეზღაპრე მართალი იყო — ბავშვებთან კეთილი ქონდრისკაცი უფრო ხშირად მოდის და უფრო დიდხანს რჩება სტუმრად. ვინ იცის, იქნებ ამიტომაც არის ყველა პატარა ნიჭიერი?

**რას წარმოადგენს ე. წ. აღმოსავლური კალენდარი, სადაც ყოველ წელს თავისი თილისმა აქვს: ცხოველები ან ფრინველები.**

თამარ ცაბუტაშვილი,
ახმეტა.

სიტყვა "ზოდიაქო" ლათინურიდან მოდის და "ცხოველს" ნიშნავს, ზოდიაქოს ყოველი ნიშნის მიღმა იმალება თანავარსკვლავედი, რომელშიც ამა თუ იმ თვეში იმყოფება მზე. ამგვარი ნიშანი იმდენია, რამდენი თვეც არის წელიწადში. ზოდიაქოს ნიშნების უმრავლესობა ცხოველთა სახელებს ატარებს. ამ ბოლო ხანებში მთელ მსოფლიოში პოპულარული გახდა "აღმოსავლური ზოდიაქო". იგი ჩინელებმა გამოიგონეს და "ყვითელ გზად" მონათლეს. აი რომელი თანავარსკვლავედები შედის ამ ზოდიაქოში: ვეფხვი, კურდღელი, დრაკონი, გველი, ცხენი, ხარი, მაიმუნი, მამალი, ძაღლი, ტახი, ვირთხა. ისინი განლაგებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მზის ხილული მოძრაობის საპირისპირო გზაზე. ამიტომაც თანავარსკვლავედი ყოველთვე კი არ იცვლება, არამედ წელიწადში ერთხელ.

შეამჩნევდით, რომ ზოდიაქოს ყველა ცხოველი ნამდვილად ცხოვრობს დედამიწაზე. მარტო დრაკონია ფანტასტიკური. ყველა ცხოველს სხვადასხვაგვარი ხასიათი აქვს. მიჩნეულია, რომ ამა თუ იმ ცხოველის წელს დაბადებული ადამიანი ხასიათით მას ჰგავს. ვთქვათ, დრაკონის წელს დაბადებული საუცხოო ჯანმრთელობის პატრონია. იგი ენერგიული, გაბედული, და ჯიუტი, პატიოსანი, საიმედო და გულწრფელია. გველის წელს დაბადებულები ბრძენები, მაგრამ ხშირად ეგოისტები და პატივმოყვარეები არიან, მათ ახასიათებთ გამბედაობა და მიზანსწრაფულობა, მაგრამ ყოველთვის მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეთ.



ყოველ ცხოველს თავისი საყვარელი ფერი აქვს. აღმოსავლეთში მიაჩნიათ, რომ იმისათვის, რათა მომავალი წელი ბედნიერი და წარმატებული იყოს, ახალ წელს იმ ფერის ტანსაცმელი უნდა ჩაიცვათ, რომელიც თანავარსკვლავედის განმასახიერებელ ცხოველს ესიამოვნება.

# პასუხი — ჩვენი

F-6606
საქართველოს ეროვნული

# იხარეთ, მწვანე ჯეჯილო!

**ირაკლი მჭედლიძე** თბილისის მე-6 საშუალო საავტორო სკოლის XI კლასის მოსწავლეა, 1 იანვარს 17 წელი შეუსრულდა, ლექსების წერა VI კლასიდან დაიწყო. მისი საყვარელი პოეტები არიან ნიკოლოზ ბარათაშვილი და გალაკტიონი. ირაკლის უყვარს ხატვა, ძერწვა, წიგნების კითხვა, მუსიკის მოსმენა.



### ღამის სილამაზე

გაოცებული შევყურებ მთვარეს,
თუ როგორა ჰქმნის ღამეში
ნათელს,
სხივენი მოჰფინა მშვიდ არემარეს
იძინებს მთელი ლამაზი მხარე.
ბალახი ველზე წააგავს ხავერდს,
ნიავი ფრთხილად ეხება ჭალებს,
ჩუმი შრიალით ნაზ ფოთლებს
არხევს,
წყარო ირეკლავს ნაღვლიან
მთვარეს,
მიმოფენილა ვარსკვლავი ცაზე,
მთები უხრიან თავს ნათელ ღამეს.
და ნუთუ ასეთ წყნარ სილამაზეს,
სჯობია რამე ამ ქვეყანაზე?!

### ზღვის ფერი

ღამით ზღვის პირას ვუსმენ მე
ღელვას,
ლურჯ წმინდა ცაზე ვარსკვლავებს
ვხედავ,
ზღვის ზედაპირი მთვარეს
ირეკლავს,
ლივლივებს წყალი მკრთალ
ვერცხლისფერად.
წარმოდგენაში ძველ გემებს
ვხედავ,
ხავსმოდებულნი ღრმა ფსკერზე
სხედან,
ნაპირზე ტალღა კლდეს ეხეთქება
და ნაზი ღელვით მას ეფერება.
ნიავი ფრთხილად ნაპირს ეხება,
სურს მოაშოროს მას მწუხარება.
გაუცინარი მთვარის ნათება
ცივ ტონში აჩენს ზღვის ვითარებას.
ეს ზღვა, ეს ღელვა და მთვარის
მზერა
მუდამ ბუნების ფერად დარჩება.

### შემოდგომის ქვეყანა

შემოდგომის ქვეყანას დარდი არ
დალევია
ხმელი, ოქროს ფოთლები მიწას
გადაფენია,
სიყვარულის წუთები წარსულს
შემორჩენია,
მისი სუსტი ფიქრები მძიმე ძილს
მისცემია.
სევდიანი ნიავი ფოთლებს
გამორევია,
ტრფობის ბოლო სიმღერას სევდად
შემოხვევია.
გაზაფხულის სიმშვენეს ძალა
გამოლევია,
შემოდგომის ობოლ ტყეს სევდა
შემოსჩვევია.

### ბედნიერების სივრცე

გულმოღლილი ცისფერი ცის ქვეშ
ქარს აყოლილი მიწაზე ვიდექ.
თვალწინ მეფინა ზღვად
გადმოშლილი
ბედნიერების უზომო სივრცე.
მე ერთ ადგილზე გაჩერებული
იდუმალებით მოცული ვისმენ
სიცარიელის მზერით დაღლილი —
ლურჯი სახლების მონაყოლ
სიზმრებს.
მშვენიერების გრძნობებით
აღვსილს
სიწყნარე მშვიდი დამრჩეს მე იქნებ.
ღროდ გარდაქმნილი
ვარსკვლავთა შვილი
ღრუბლებზე მიწერს წარსულის
სიტყვებს.
ახლა ცხოვრებას ნისლი ეხვევა,
ბურუსით ფარავს მის ნათელ
სიღრმეს,
გულის კარები დაიხურება —
იგი დაფარავს დაღალულ სხივებს.

---

**ნინო თუხარელი** მცხეთის №1 საშუალო სკოლაში სწავლობს. უყვარს ბუნება, მეგობრები, ლამაზი კაბები. "თბილისის ღამე" ნინოს პირველი ლექსია.

### თბილისის ღამე

ღამეა, მთვარე ანათებს ქალაქს,
ლამპიონები ამშვენებს თბილისს,
სიონში ზარი ჩამორეკს ნანას,
კანკელს შეადნა სანთელის მძივი.
მიყვარს თბილისი, ღამის
წყვდიადი
და ფიროსმანის თეთრი ხატება,
წინათ უცნობი, ახლა დიადი
ცას ვარსკვლავებად მიეფანტება
ღამეა, მთვარე ანათებს თბილისს,
ლამპიონები ანათებს ქალაქს,



ამედევნება ნიკალას ჩრდილი,
მამადავითზე დადგება ხატად.
მთაწმინდის მთაზე დღეს
პანთეონში
ჩემი ყვავილი საფლავს დააკვდა,
სანთელს ავუნთებ, გულში
ვილოცებ
მათთვის ვინც თბილისს და ერს
დააკლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი თქვენთაგანი

# ყველაზე მხიარული ამბავი



პირველი თავისი ნახატი ნინო გიუნაშვილმა სამი წლის ასაკში დახატა და მას "შაშვების ცეკვა" უწოდა. თუმცა ფრინველებისადმი მაშინაც გულგრილი იყო და ახლაც, როცა თბილისის 29-ე სკოლის მეათე კლსის მოსწავლეა, ფრინველებზე მეტად ცხოველები უყვარს. "სხვა ამბავეია ცხოველები. მათ ხშირად უსიტყვოდაც ესმით ადამიანისა".

ნინომ ცხოველებს ნახატების მთელი სერია მიუძღვნა. თავის დიდებულ სამეფო დოგ ლორდსაც თვითონ ზრდიდა და უვლიდა და სიამურ კატა ტიტიკოსაც. ლორდი უაღრესად ზრდილობიანი და კეთილშობილი ძაღლი გახლდათ, ტიტიკო კი — საოცრად კეთილი კატა. სამწუხაროდ, ისტორია ნაღვლიანად დამთავრდა. ნინოს ხვეწნა-მუდარის მიუხედავად ლორდი გააჩუქეს, ძაღლი ახალ პატრონს ვერ შეეგუა და დარდით მოკვდა, მშვენიერი ტიტიკო კი ვიღაცამ მოიპარა. მას შემდეგ ნინომ გადაწყვიტა, აღარ იყოლიოს შინაური ცხოველები. ხატვით კი მაინც სულ მათ ხატავს, უფრო ხშირად კი — თეთრ ცხენებს. ძალიან მოსწონს მათი მოძრაობის დინამიკა, მათ თავდავიწყებულ ქროლვას ფრენას ამსგავსებს. ალბათ ამიტომაც არიან ნინოს თეთრი ცხენები ფრთიანები. ს ასაცილო, კეთილი, საყვარელი ცხოველებით არის დასახლებული ნინოს მიერ შესრულებული სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკების ილუსტრაციებიც.

ნინოს, ისევე როგორც ყველა მის თანატოლს, უყვარს მზე და მოწმენდილი ცა, მისთვის მიუღებელია ყოველგვარი ძალადობა, ომი და ეს მიუღებლობა სამ სიბრტყედ





დაყოფილ მის ერთ-ერთ მეტად საინტერესო ნამუშევარშიც არის ჩაქსოვილი: ზედა სიბრტყეში ანგელოზები ტირიან, ქვედაში ბოროტი ძალები ზეიმობენ, შუაში კი ომი მიმდინარეობს. "ისინიც იღუპებიან, ვინც დამნაშვეა, მაგრამ უფრო ხშირად უდანშაულონი იღუპებიან. მე კი პირველების ბედსაც განვიცდი და მეორეებისასაც. ნეტავ ვინ მოიგონა გამოთქმა "სამართლიანი ომი?". ჩემთვის ნებისმიერი ომი ჯოჯოხეთია".

ნინოს საყვარელი ჟანრია კარიკატურა. აქ კი ყველაფერი გუნება-განწყობილებაზეა დამოკიდებული. თუ კარგ გუნებაზეა, კეთილ კარიკატურებს ხატავს, თუ ცუდზე — მაშინ მტრისას, თუკი ვინმეს უარყოფითი ნიშან-თვისება დაუნახა, არ დაინდობს. ვინ მოთვლის რამდენი კარიკატურა დახატა ამ ზაფხულს, ალპინისტებთან ერთად კახეთში, ბანაკში რომ ისვენებდა. განშორებისას ყველას ჩამოურიგა თავისი ნამუშევრები. ნეტავ იცოდეთ, რა სიცილ-ხარხარი ატყდა. "მაგრამ ზოგი გამინაწყენდა, აბა ამის შემდეგ ჩემს მასწავლებლებს როგორღა ვაჩვენო ჩემი კარიკატურები. რა ვიცი, იქნებ კარიკატურების ხატვა მაინც და მაინც კარგი საქმე არ არის და უნდა შევეშვა? არ ვიცი ..."

მაგრამ სწორედ კარიკატურების წყალობით მოჰკიდა ნინომ ხელი მულტფილმებს. მისი ნამუშევრები რომ ნახა, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა იოსებ ქოიავამ ურჩია გოგონას მულტიპლიკაციაში ეცადა ბედი. ნინომ მულტგაერთიანებასთან არსებულ ბავშვთა სამხატვრო სტუდიაში, რეჟისორ-მულტიპლიკატორ ამირან ისიანთან დაიწყო სიარული და მოკლე დრო-



ში მულტფილმებისათვის ნახატების მთელი სერია შექმნა, სადაც ყველაფერი მისი ფანტაზიის ნაყოფია. საყვარელი გმირია ანი. უფროსები ბოროტად იყენებენ პატარა ანის სიკეთესა და გულითადობას. მოსვენება აღარა აქვს გოგონას — ანი აქეთ, ანი იქით... დაიღალა. ხოლო ერთხელ სხვისი ფულიც კი დაკარგა. ჩამოჯდა და მწარედ ატირდა. იტირა, იტირა და მერე კი თავის თავზე მოუვიდა ბრაზი. "სულ სხვისთვის და სხვის მაგივრად ვაკეთებ ყველაფერს. რატომ? კმარა, მორჩა! აღარც ვიტირებ, იმან იტიროს, ვისი ფულიც დავკარგეო!"

ნინო გიუნაშვილის პეიზაჟებზე მხოლოდ გაზაფხული და შემოდგომაა, მისთვის გაზაფხული ყოველივე



ახლის საწყისია, შემოდგომა კი — ფერთა ნარნარი ცეკვა. სადაც შემოდგომაა, იქ ნინოს მდინარეც უთუოდ აქვს, "ფერები ხომ საოცრად ლამაზად აირეკლება წყალში".

საყვარელი ფერი ცეცხლისფერია, "მასში ყველაფერია — სითბოც და შიშიც, სინათლეც და სწრაფვაც"...

აკვარელი იმიტომ მოსწონს, რომ ერთი ფერის მეორეში ნარნარი გადასვლის საშუალებას იძლევა. მას შემდეგ, რაც სამხატვრო აკადემიის მოსამზადებელ ჯგუფში დაიწყო სიარული, გრაფიკაც შეუყვარდა — ხაზების საოცრად მკაფიო თამაშის გამო.



წიგნების კითხვა ძალიან უყვარს, უფრო კი — სათავგადასავლო ნაწარმოებებისა, ჟიულ ვერნიც იმიტომ არის მისი საყვარელი მწერალი.

ნინოს ბევრი მეგობარი ჰყავს, იმიტომ რომ საერთო ენას ყველასთან ადვილად პოულობს. თუმცა საკუთარ დასთან მაიკოსთან და ძმასთან ვანიკოსთან პირიქითაა. თუ ისე მოხდა, რომ ერთად იწყებენ თამაშს, სახლში ყველაფერი ყირამალაა ხოლმე და თამაშიც აუცილებლად კინკლაობით მთავრდება.

ძალიან უნდა ქართული ცეკვები ისწავლოს, ბალეტი კი არ უყვარს, "სულ მეშინია, რომ პარტნიორს ბალერინა არ დაუვარდეს. ვერ წარმომიდგენია რა მოუვა ამ დროს პარტნიორ ქალს, რა უნდა ქნას სირცხვილისაგან"...

ნინოს ტანსაცმლის სტილი სპორტულია. საყვარელი საჭმელი შემწვარი კარტოფილი, საყვარელი ნამცხვარი — ტორტი და "ნაპოლეონი".

თუ ნინოს საკუთარი ნახატი არ მოეწონება, ადვილად ელევა მას, უმალ ხევს. განუხორციელებელი ჩანაფიქრებიც აქვს. ძალიან უნდა დახატოს მორევი — საშინელი მორევი. ადამიანები ცდილობენ თავი დააღწიონ მას და ყველაფრის მიუხედავად ახერხებენ კიდეც. ცხოვრებაშიც ხომ ასეა. "მაგრამ ჯერჯერობით ცოცხალი წყალი არ გამომდის, მე კი მინდა ისეთი დავხატო, რომ სურვილი გაგიჩნდეთ შეეხოთ, შეამოწმოთ, იქნებ მართლა წყალიაო".

მულტფილმებიდან ყველაზე მეტად დისნეილენდები უყვარს. "დისნეის ფილმებში ნახატი მშვენიერი და სრულყოფილია, სხვებში კი ხშირად ვერც მიხვდები რა არის დახატული".

თვითონ ნინოს მომავალში ისეთი მხიარული მულტფილმის დახატვა სურს, სადაც მცირე ნაღველიც კი არ იქნება. დარწმუნებულია, რომ ბავშვებს ისეთი ისტორიები უყვართ, რომლებსაც დასაწყისიც ბედნიერი აქვს, შუა ნაწილიც და ბოლოც.

**ტატა ბიგანიშვილი.**





## 152 წელი სიღარიბეში და 3 თვე ფუფუნებაში

ინგლისის მეფის ჩარლზ I-ის მთავარი საზრუნავი სიცოცხლის გახანგრძლივება იყო. კარის ექიმებსაც ეკითხებოდა დღეგრძელობის საიდუმლოს, სახალხო მკურნალებსაც, იმ დროის ცნობილ მეცნიერებსაც, მაგრამ გონივრული ვერავინ ვერაფერი ურჩია. ბოლოს მეფის ერთ-ერთ მინისტრს აზრად მოუვიდა – ჩვენს სამფლობელოში ყველაზე ხანდაზმული ადამიანი მოვძებნოთ და იმას ვკითხოთ, როგორ მიაღწია დღეგრძელობასო. მეფეს ჭკუაში დაუჯდა ეს რჩევა და სამეფოს ყველა კუთხით აფრინა მალემსრბოლნი. ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნეს ინგლისის ყველაზე ხნიერ ადამიანს. იგი აღმოჩნდა შროფშირში მცხოვრები 152 წლის ღარიბი გლეხი თომას პარი. მოხუცი ზარ-ზეიმით წარუდგინეს მეფე ჩარლზს, მან კი იმისათვის, რომ თვალი ედევნებინა "დღეგრძელობის ამ სასწაულისათვის", ჩასწვდომოდა მისი ცხოვრების "საიდუმლოს", თავისთან დაიტოვა იგი.

ისეთი რა საიდუმლო უნდა ჰქონოდა გლეხკაცს? ბავშვობიდან დაწყებული მუხლჩაუხრელად შრომობდა მინდვრად, ძლივს ინახავდა მრავალრიცხოვან ოჯახს. მოუსავლიან წლებში კი მასთან ერთად შიმშილობდა, თუმცა არც უხვმოსავლიან წლებში ჭამდა ნაირნაირებს, – პური, ფაფა, ყველი და რძე. ცხოვრებითაც ერთ პატარა ძელურში ცხოვრობდა ცოლშვილთან და საქონელთან ერთად, ყინვაში სიცივე აწუხებდათ, წვიმაში – ნესტი. მაგრამ სიცივესა და შიმშილს ყველანი შეჩვეულები იყვნენ. ავადმყოფობამ დარია ხელი ოჯახს. ზოგი ქოლერამ იმსხვერპლა, ზოგი ყვავილმა და ზოგიც ჭირმა. თომასი ყველაფერს გადაურჩა, ომებშიც ბედი სწყალობდა, რამდენჯერმე დაიჭრა, მალევე გამოჯანმრთელდა და ისევ გლეხკაცის საქმიანობას დაუბრუნდა. ასე მიაღწია 152 წელს.

მეფის სასახლეში მოხუცი პარი საყოველთაო ყურადღებისა და პატივისცემის საგანი გახდა. როგორც იშვიათი ღირსშესანიშნაობა სამეფო კარზე გამართულ ყველა მიღებასაც ესწრებოდა, კარგადაც ჭამდა, კარგადაც სვამდა, ყველა ლხინსა თუ ნადიმშიც მონაწილეობდა და ... სამი თვის შემდეგ გარდაიცვალა. სამეფოს კარის მედიკოსთა დასკვნით 152 წლისა და 3 თვის თომას პარის "სიკვდილის ერთადერთი მიზეზი ცხოვრების წესის შეცვლა იყო". ვინ იცის, იქნებ თავის ქოხში რომ დარჩენილიყო, ორას წლამდეც კი ეცოცხლა.

## აბა როგორ გგონიათ? – დრო ფულია!

1815 წელს ნაპოლეონის სახელოვანი არმია სოფელ ვატერლოოსთან (ბელგია) ინგლისელებისა და გერმანელების ჯარს შეება. ამ ბრძოლის შედეგზე იყო დამოკიდებული ევროპის მომავალი. ფრანგების გამარჯვება ინგლისის მრეწველობასა და ვაჭრობას დაღუპვას უქადდა, მრავალ ინგლისელს კი გაჭირვებასა და სიღარიბეს. ნაპოლეონის მარცხი ხელს შეუწყობდა ინგლისის აყვავებას.

ვატერლოოს ისტორიული ბრძოლა ფრანგების დამარცხებით დამთავრდა. მაგრამ ბელგია ინგლისიდან შორს იყო, ტელეფონი და ტელეგრაფი კი ჯერ არ გამოეგონებინათ, ამიტომაც ინგლისში ბრძოლის შედეგის შესახებ კარგა ხანს არაფერი იცოდნენ. დაბნეული ხალხი პანიკამ მოიცვა. ნაპოლეონის უძლეველი არმიის შემოჭრით შეშინებულმა მრეწველებმა და ვაჭრებმა საწარმოების გაყიდვა დაიწყეს. ოღონდ კი ჩქარა გაეყიდათ და ფასს აღარ დაეძებდნენ, მაგრამ მყიდველიც თითო-ოროლა თუ გამოჩნდა.

ამ არეულ-დარეულობაში ერთადერთი ადამიანი არ იქცეოდა სხვებივით. იგი სიამოვნებით ყიდულობდა ფაბრიკა-ქარხნებს, გემებს, სხვა ქონებას. ეს ადამიანი ჯეიმს როტშილდი იყო. მარტო მან იცოდა, რომ ვატერლოოსთან ინგლისელებმა გაიმარჯვეს. იცოდა და მარჯვედაც გამოიყენა ეს...

არა, ჯეიმს როტშილდი არც ნათელმხილველი ყოფილა და არც სამხედრო სპეციალისტი. უბრალოდ მან ინგლისის ჯარს ბელგიაში ფოსტის მტრედები გააყოლა, სწორედ მათ ჩამოუტანეს ბრძოლის დამთავრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ნაპოლეონის დამარცხების ამბავი. ასე გახდა გონებაგამჭრიახი და მოხერხებული ჯეიმს როტშილდი ორ დღეში მილიონერი.

## მოკვეთილი ხელი გერბში

1015 წლის ზაფხულში ირლანდიის ნაპირებთან ხომალდების ორი არმადა გამოჩნდა. ზოლიანი შალის იალქნები, და ურჩხულები ხომალდების ქიმზე ეჭვს აღარ ტოვებდნენ – ეს ვიკინგების დრაკენები იყო და მათ ახალი მიწების დაპყრობა განეზრახათ. ჩრდილო ირლანდიაზე თავდასხმას ორი ბელადი ხელმძღვანელობდა. თითოეული მათგანი თავისი დრაკენით მიუძღოდა წინ თავ-თავის ფლოტილიას. ერთი სულ ახალგაზრდა იყო, ჭაბუკურად ფიცხი და გაბედული, მეორე კი – ასაკოვანი, გამოცდილი, დინჯი და თავდაჭერილი. ორივეს უძლეველი ზღვაოსნის სახელი ჰქონდა გავარდნილი. ორივე დარწმუნებული იყო თავის გამარჯვებაში. ამიტომაც შეთანხმდნენ: დაპყრობილი ქვეყნის მეფე ის გახდებოდა, ვინც პირველი შეახებდა ხელს მის მიწას.

როცა ფლოტილიები ნაპირს მოუახლოვდნენ, უფრო გამოცდილი ბელადის ხომალდი წინ გაიჭრა, ცოტაც და იგი მიწას შეეხებოდა. მაგრამ ამ დროს ჭაბუკი ბელადი საბრძოლო ნაჯახს ეცა, ხელის მტევანი მოიკვეთა და ნაპირზე ისროლა იგი. მისი დასისხლიანებული ხელი წამით უფრო ადრე შეეხო მიწას, ვიდრე მასზე მეტოქე დაადგამდა ფეხს.

გერმან ო ნეილი – ასე ერქვა ჭაბუკ ბელადს, – გამარჯვების შემდეგ ჩრდილო ირლანდიის მეფე გახდა და საფუძველი ჩაუყარა დინასტიას, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში მართავდა ქვეყანას. რაც შეეხება ო ნელის ხელს, იგი ჩრდილო ირლანდიის სახელმწიფო გერბში იქნა სამარადჟამოდ უკვდავყოფილი.



# რუსული პოეზია



დიდ რუსულ პოეზიაში მრავალი მბრწყინვალე მარგალიტია. თუმცა რუსულის ცოდნის წყალობით ბევრ თქვენთაგანს შეუძლია დედნის ენაზე წაიკითხოს ისინი, ვფიქრობთ, ისიც საინტერესოა, თუ როგორ ჟღერს ქართულად თუნდაც გენიალური პუშკინი, განუმეორებელი ახმატოვა, უცნაური და უბადლო ცვეტაევა, დიდებული ბლოკი...

### ალექსანდრე პუშკინი

#### *ზამთრის საღამო*

იბურება სივრცე ჯანღით,
ცას ღრუბლები მოეფინა,
ქარი ტირის როგორც ბალღი,
ხან ვით მხეცი, ისე ღრინავს;
თავს აიწყვეტს სხვენზე ქარი,
მოაწყდება ჩვენს ფანჯარას...
კაკუნს იწყებს აბეზარი,
გზააბნეულ მგზავრის დარად.

ძველისძველი ჩვენი ქოხი
ღალვრემილა, მოქუფრულა...
რაო, ძიძავ, ჯაფით მოღლილს,
წაგიტყუა თვალი რულმა?..
მიყუჟულხარ ფანჯარასთან,
რა პირქუში საღამოა...
გეძინება, თან ძაფს ართავ
და მის ღუღუნს ძილი მოაქვს.

მეგობარო ჩემი საწყალ
სიყმაწვილის, შევსვათ ღვინო...
შევსვათ სიმწრით, მომე კათხა,
ვინძლო, ცოტა მოვილხინოთ;
შენ მიმღერე: "ჩიტი-გერიტი
მშვიდად ცხოვრობს ზღვის
გადაღმა...
მხარზე უდგას თუნგი დიდი
გოგოს, წყალზე მიდის ახლა..."

იბურება სივრცე ჯანღით,
ცას ღრუბლები მოეფინა,
ქარი ტირის, როგორც ბალღი,
ხან ვით მხეცი, ისე ღრინავს.
მეგობარო ჩემი საწყალ
სიყმაწვილის, შევსვათ ღვინო,
შევსვათ სიმწრით, მომე კათხა,
ვინძლო, ცოტა მოვილხინოთ.

თარგმნა ბაგრატ ოდიშელმა



### ანა ახმატოვა

#### *ჩრდილოური ელეგიებიდან*

* * *

და აჰა, ისიც – შემოდგომის იგივე
ხედი,
რომლისაც ასე მეშინოდა მთელი
ცხოვრება:
იგივე, ზეცა – უფსკრულივით
ტალმოდებული
და ქალაქის ხმა – მოსმენილი თითქოს
იმიერ
ქვეყნიდან, ჩემთვის სამუდამოდ უხმო
და უცხო.
თითქოს ყველაფერს, რასაც მთელი
ჩემი ცხოვრება
ვებრძოდი გულში, უნებურად ხორცი
შეუსხამს,
მოუხვეჭია არსებობა და შემართულა
ამ ბრმა კედლებად, ამ უკმურ და ყრუ
ხეივნებად...
ხოლო იმ წუთში, ჩემს ზურგს უკან
გარინდებული,
ჩემი ყოფილი სახლი ჯერაც
მითვალთვალებდა
მოჭუტული და იჭვიანი, უნდობი
მზერით,
ხსოვნაში ნათლად ჩარჩენილი
ფანჯრების თვალით.
თხუთმეტმა წელმა თავი თითქოს
ფარისეველურად
გრანიტის თხუთმეტ საუკუნედ
მოიკატუნა,
მაგრამ თვითონ მეც გავხდი როგორც
კლდე და გრანიტი:
ახლა მევედრე, თუნდ ჯვარს მაცვი,
თუნდა მიწოდე
ასული ზღვათა ხელმწიფისა, აწ
სულერთია...
მაგრამ მინდოდა გამხდარიყო ჩემთვის
სარწმუნო,
რომ ეს ყოველი უკვე ბევრჯერ თავს
დატყდომია
სხვებსაც მრავალგზის, უფრო აკი
გამოცხადებით,
უმეტეს ავით, თუმცა არა,– უმეტეს
კარგით.
და სიბნელიდან – და ეს იყო ყველაზე
უფრო
გულშემზარავი – მე ჩემივე ხმა
შემომესმა:
"თქვი, თხუთმეტი წლის უწინარეს, ამ
დღეს როგორი
შვებით ხვდებოდი, რა სიმღერით;
შენ-დედამიწას,
ცას და ვარსკვლავებს და წყალთა
გუნდს ევედრებოდი
მოგესალმებოდნენ მასთან შეყრის
საზეიმო ჟამს,
მასთან, ვისგანაც დღეს წახვედი, დღეს
აღარა ხარ"...
და აჰა, შენი სანატრელი ვერცხლის
ქორწილი
მოუხმე სტუმრებს, იზეიმე
დღესასწაული!..



### მარინა ცვეტაევა

* * *

მართალ არს ღმერთი:
განგებით მწარით,
დაგვალულ ბელტით,
დამშრალი წყალით,

ქურდით და მრუდით,
სწორით და ბრუნდით,
ჭირით და წვირით,
ფესვით და ძირით,

დათრგუნულ სულით,
დაწყევლილ წელით,
ტყვე უფლისწულით,
აღდგომილ ერით.



### ალექსანდრ ბლოკი

* * *

გახსოვს, ყურეში წყალი დამდგარი,
გარინდებული სიცხით და თვლემით,
როცა ნავსადგურს მწყობრში
ჩამდგარი
მოადგა ოთხი სამხედრო გემი.

ოთხივე რუხი და ჩვენ ბიჭები
ვეღარ ვძლებოდით მათი ყურებით
და მედიდურად დააბიჯებდნენ
მზით გარუჯული მეზღვაურები.

ლადი და ვრცელი გახდა ქვეყანა,
მაგრამ უეცრად, მსრბოლნი ამაყად –
ოთხივე, – ვნახეთ, – უკიდეგანო,
ყრუ ოკეანემ როგორ დამარხა.

და კვლავ უმსგავსი გახდა შორეთი
და უნიათო – ყურე მშიშარი,
როცა დაბალი სემაფორიდან
უკანასკნელი მისცეს ნიშანი.

მაინც რა ცოტა რამე გვჭირდება
ბავშვებს, – მე და შენ, რომ გაგვახაროს,
და გული შვებით ვით აზეირთდება,
როს დაინახავს ახალ სამყაროს!

ჯიბის დანაზე ბავშვურ გუმანით
შემთხვევით ჰპოვე ბრე ან ბულული
და მზის ქვეშეთი კვლავ იდუმალი
ნისლით იქნება შემობურული.

თარგმნა თამაზ ჩხენკელმა



# უბრალო საგნების ისტორიიდან

## ქოლგა

ქოლგა დაახლოებით ათასი წლის წინ გამოიგონეს ჩინეთში და თავიდან მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა წვიმასთან, ქოლგას



მზისგან თავის დასაცავად ხმარობდნენ. მაგრამ, აი 1750 წელს ერთ-ერთმა ინგლისელმა ჩინეთიდან ჩამოტანილი ქოლგა წვიმიან ამინდში გაშალა და მთელი ლონდონის ყურადღება მიიქცია. იმ დღიდან მოყოლებული მთელი მსოფლიო ქოლგით იცავს თავს წვიმისაგან.

## ქილეტი

დღეს ქილეტი ძალიან მოდაშია. იგი ქალსაც აცვია და კაცსაც, დიდსაც და პატარასაც, მას პიჯაკის შიგნითაც იცვამენ და უპიჯაკოდაც. წინათ კი იგი უდიდესი ფუფუნების საგანი ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ თავის დროზე ქილეტი უსაზღვრო პატივში იყო — მისი ღირებულება განსაზღვრავდა მაღალი საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენელთა ღირსებას.

XVIII საუკუნეში საჭირო იყო ქილეტების მთელი კოლექცია, რათა არ ჩამორჩენოდი მოდას, რომელიც ერთი სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლებოდა. ხან მაუდის ქილეტი იყო მოდაში, ხან აბრეშუმის, ხან ხავერდის, ხან კი ოქროსფერი ფარჩის. მაგრამ მთავარი მაინც ნაქარგები იყო, რომლებსაც ხშირად უდიდესი მხატვრები ასრულებდნენ. ქილეტზე ამოიქარგებოდა სხვადასხვა სცენები — ნადირობის, კომიკური, პასტორალური, სცენები ლაფონტენის არაკებიდან. ფინანსისტებისა და მდიდარი მემამულეების მკერდზე თავს იწონებდნენ ამურები, აპოლონები, მარსები, ვენერები. გენერლების ქილეტებზე გამოხატული უნდა ყოფილიყო ცხენოსანთა აღლუმი ან სანგრის იერიშებით აღების მომენტები.

ლუი XV კარზე ყველაზე დიდ პატივს იმსახურებდნენ ის დიდებულები, რომელთა ქილეტებზე მოქარგული იყო სცენები მაშინდელი მოდური ოპერებიდან. ქილეტის ღილებზე ხატავდნენ იმ დროის ცნობილ ლამაზმანებს. მაგალითად, მეფის სამებლად კარისკაცებს ქილეტის ღილებზე დახატული ჰქონდათ ლუი XV საყვარლის, მადამ დე პომპადურის პორტრეტი. უფრო ხანშიშესული დიდებულები თავიანთი ქილეტების ღილებზე აღბეჭდავდნენ ანტიკურ ბიუსტებსა და ღმერთების მეტამორფოზებს.

საფრანგეთში დირექტორიის არსებობის ოთხი წლის მანძილზე მოდა ქილეტზე რამდენჯერმე შეიცვალა. ბევრი კარისკაცის ქილეტზე ამოქარგული იყო გილიოტინა და დასჯის სცენები.

## სახაზავი

მიჩნეულია, რომ სახაზავი საფრანგეთის რევოლუციის დროს



შემოვიდა ხმარებაში, მაგრამ როგორც ირკვევა, ანტიკური ხანის არქიტექტორები სწორედ საგულდაგულოდ გარანდულ-გაშალაშინებულ პატარ-პატარა ფიცრებს იყენებდნენ ნახაზების შესასრულებლად. ამაზე უძველესი ქალაქის, პომპეის არქეოლოგიური გათხრების დროს მიკვლეული ნიმუშებიც მეტყველებს. შუა საუკუნეებში გერმანელი ბერები პერგამენტის ფურცლებზე ხაზების გასავლებად ტყვიის ფირფიტებს იყენებდნენ, ევროპის რიგ ქვეყნებში კი ამავე მიზნისათვის რკინის წკირებს ხმარობდნენ. ისე რომ დღევანდელ სახაზავს უფრო შორეული წინაპრები ჰყოლია, თუმცა მეტრული დანაყოფებით აღნიშნული სახაზავები მართლაც საფრანგეთის რევოლუციის დროს გაჩნდა. 1789 წელს რევოლუციური ხელისუფლების ხელმძღვანელებმა აკადემიკოსებს ახალი მეტრული სისტემის შემოღება დაავალეს. სიგრძის ერთეულად პარიზზე გამავალი გეოგრაფიული მერიდიანის მეორმოცედმილიონიანი ნაწილი იქნა მიღებული. ფრანგმა მეცნიერებმა გულდასმით გაზომეს მისი რკალი დიუნკერკიდან ბარსელონამდე, შემდგომ ამისა პარიზში 25 მმ. სიგანისა და 1 მ. სიგრძის ორი პლატინის სახაზავი დაამზადეს. ამ ეტალონს "რესპუბლიკურ მეტრს" უწოდებდნენ.

მეტრულ დანაყოფებიანი ხის სახაზავები ჯერ მხოლოდ აკადემიკოსების განკარგულებაში იყო. მერე ასეთები პარიზელი სტუდენტებისათვის, უწინარეს ყოვლისა კი უმაღლესი პოლიტექნიკური სკოლის მოსწავლეებისათვის დაამზადეს. ჩვეულებრივ სასკოლო კლასებში კი ხის სახაზავი XIX საუკუნის დამდეგს შემოვიდა ხმარებაში.

# მოთმინების ქვა

### (ზღაპარი)

იყო და არა იყო რა, ღვთის გარდა, აბა, რა იყო? – სადაც წავედით, გზა იყო, რაც ამოვთხარეთ, ჭა იყო. იყო ერთი ცოლ-ქმარი და ჰყავდათ ერთი ქალიშვილი, რომელსაც სახელად ფათემეს ეძახდნენ.

რამდენჯერაც ფათემე მოლა ბაჯისთან* წავა გაკვეთილის ჩასაბარებლად, გზაზე ხმა შემოესმება: მკვდრის წილხვდომილო ფათემე, მკვდრის წილხვდომილო ფათემეო. – გაოცებული და დაბნეული გოგო აქეთ-იქით იყურება და ამბობს: ღმერთო, ნეტავ, რა ამბავია? ან ეს ხმა რა არის და რა უნდა, რომ გამაგებინოსო? ბევრი იფიქრა და ვერაფერი მოიფიქრა. ბოლოს შეშინებული მივიდა დედ-მამასთან და ეს საკვირველი ამბავი უამბო. იმათაც იფიქრეს, იფიქრეს, ვერაფერი მოიფიქრეს და თქვეს: "ვიდრე ჩვენს თავს უბედურება არ დატრიალებულა, უმჯობესია, ამ ქალაქიდან სხვაგან წავიდეთო" – გაყიდეს მთელი სარჩო-საბადებელი და გაუდგნენ გზასა. იმდენი იარეს, ვიდრე თან წამოღებული საგზალი არ გაუთავდათ. ბოლოს, მშიერ-მწყურვალნი, ერთ მშვენიერ წალკოტთან მივიდნენ. თქვეს – შევიდეთ, კარზე დავაკაკუნოთ, ეგებ, ვინმემ გამოიხედოს და ცოტაოდენი საჭმელი მოგვცესო. მივიდა ფათემე, დააკაკუნა კარზე. კარი სწრაფად გაიღო. როგორც კი გოგონა ბაღში შევიდა, კარი ისევ სწრაფად დაიხურა, მერე საერთოდ გაუჩინარდა და მის ნაცვლად ქვის მაღალი კედელი აღიმართა. დარჩა ფათემე კედლის იქითა მხარეს, მშობლები კი კედლის აქეთა მხარეს აღმოჩნდნენ და მწუხარებისაგან ტირილი დაიწყეს. ბევრი უძახეს შვილს, მაგრამ პასუხი არავის გაუცია. ბოლოს თქვეს – ფათემეს იღბალი ესა ყოფილა და ალბათ, ის ხმაც ამიტომ დასძახოდა თავზე, მკვდრის წილხვდომილოო. გოგოს აღარაფერი ეშველება, ჩვენ კი, უმჯობესია, წავიდეთ და უსაფრთხო ადგილი მოვიძიოთ, ვიდრე დაღამდება და ავი სულები სამალავიდან გამოიშლებიანო.

ფათემემაც იმდენი იტირა კედლის იქითა მხარეს, რომ უფრო მეტად მოშივდა და დაიღალა. იფიქრა – მოდი, წავალ, ბაღს შემოვივლი, ეგება, რამე საჭმელი ვნახოო. წამოდგა ფეხზე და ბაღში აქეთ-იქით ხეტიალი დაიწყო. ხედავს: ერთი უალაყაფო და უკარო წალკოტია, ირგვლივ ყველგან ნაყოფით დახუნძლული ხეხილი იზნიქება, შუაგულში კი მშვენიერი სასახლე ჩაუდგამთ. ფათემემ დაკრიფა ხილი, დაწყ-



ნარდა და სასახლეში შევიდა. ბევრი იძახა, მაგრამ პასუხი არავის გაუცია, ბოლოს მთელი სასახლის შემოვლა გადაწყვიტა. ხედავს: სასახლის დარბაზები მთლიანად აბრეშუმის ხალიჩებით არის მოფენილი და შიგნით ყველაფერია, რაც კი ადამიანს მოეგუნებება. ფათემემ ექვსი ოთახი გაიარა და მეშვიდეში რომ შევიდა, დაინახა ტახტზე ერთი კაცი წევს და ტანზე ძვირფასი ფარჩა აქვს გადაფარებული; ფეხაკრეფით მიუახლოვდა ტახტსა და მწოლიარეს სახეზე საბურველი ფრთხილად გადახადა. ხედავს – ისეთი ლამაზი ჭაბუკია, მზესა და მთვარეს ეცილება, თქვენ ჩამოდით, მე უნდა ამოვიდე და ვანათოო. ფათემემ რამდენჯერმე დაუძახა. ჭაბუკი არ გამოეპასუხა, მისწვდა, სხეულზე გადაფარებული ფარჩა გადახადა და გაოცებისაგან კინაღამ გული შეუწუხდა: ვაჟს მთელ ტანზე ნემსები ჰქონდა დასხმული; სასთუმალთან კი მარგალიტებით მოოჭვილი გრაგნილი შენიშნა. ქალმა გრაგნილი გადაშალა და წაიკითხა: თუკი ვინმე ორმოცი დღის განმავლობაში დარჩება ვაჟის სასთუმალთან ისე, რომ დღეში მხოლოდ ნუშის ერთ ლებანს შეჭამს და ერთ წვეთ წყალს დალევს, ლოცვას წაიკითხავს და ყოველდღე ვაჟს ტანზე ასხმულ თითო ნემსს ამოაძრობს, მეორმოცე დღეს მძინარეს დააცემინებს, ჯადო აეხსნება და გამოიღვიძებსო.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ: დარჩა ფათემე ვაჟის სასთუმალთან: ოცდათხუთმეტი დღის განმავლობაში დღეში ნუშის თითო ლებანს ჭამდა, თითო წვეთ წყალს სვამდა, ვაჟის ტანიდან თითო-თითოდ აძრობდა ნემსებსა და გამუდმებით ლოცვას კითხულობდა – ისე დაიქანცა, უძილობამა და შიმშილმა ისე დაასუსტა, რომ ადგილიდან ვერ იძვროდა, თავისთვის იჯდა და ამასღა ბუტბუტებდა: ღმერთო, შენ შემეწიე და დამეხმარე! უძლურებისაგან, ლამისაა, ფეხები მომეკვეთოს, ამდენი მარტოობით ლამისაა, გული გამისკდესო. ამ დროს ბაღის ყორის იქიდან რაღაც უცნაური ხმაური შემოესმა. სასახლის ბანზე ავიდა, გადაიხედა და დაინახა, ბოშები მოსულან, კედლის შორიახლო კარავი აქვთ გაშლილი და ერთი ლხინი და ტაშფანდურა გაუჩაღებიათ. ფათემემ დაუძახა: ბოშებო, ბოშებო, მარტოობამ სიცოცხლე მომაბეზრა, ღვთის გულისათვის, ერთი თქვენი გოგო ზემოთ ამოუშვით, სამაგიეროდ კი რასაც გნებავთ, იმას მოგართმევთო. გახარებულმა ბოშებმა ერთხმად უპასუხეს: აბა, მაგაზე კარგი რა იქნება! სიამოვნებით ამოვგზავნით ჩვენს გოგოს, მაგრამ, ერთი გვითხარი, ამხელა ქვის ყორეზე როგორ ამოვაო?! წავიდა ფათემე, მოიტანა თოკი და ძვირფასეულობა, გადაუყარა ყველაფერი ბოშებს და აბა, იმათაც მეტი რა უნდოდათ?! მოეჭიდა ბოშა გოგო თოკს და ფათემემ რის ვაივაგლახით ზემოთ ამოსწია; აიყვანა თავისთან, დაბანა, ტანსაცმელი გამოუცვალა, საჭმელი მისცა და უთხრა: დღეის შემდეგ მე და შენ ერთმანეთის ჭირ-ვარამის მოზიარენი ვიქნებითო. ელაპარაკებოდა ფათემე ბოშა გოგოს, ათასგვარ ამბავს უყვებოდა, მაგრამ მერვე ოთახში გამოკეტილ მძინარე ჭაბუკზე ერთი სიტყვაც კი არ დასცდენია. რამდენჯერაც ზემოთ, ვაჟის სასთუმალთან ავიდოდა, ოთახის კარს თავის ზურგსუკან საგულდაგულოდ რაზავდა ხოლმე. ბოშა გოგო მიხვდა, მერვე ოთახში რაღაც ამბავია, ფათემე ჯიუტად მიმალავს და არაფრით არ უნდა, რომ გამაგებინოსო.

ერთხელაც, ფათემე მძინარე ჭაბუკთან რომ ავიდა, ოთახის კარი შემთხვევით ღია დარჩა. ბოშა გოგო მივიდა, შეიხედა და ნახა, რომ ფათემე

* მოლა ბაჯი – მუსლიმი ქალი მასწავლებლისადმი ზრდილობიანი მიმართვის ფორმა.

ვილაც ვაჟის სასთუმალთანა ჩამუხლული, ლოცვას კითხულობს და ვაჟს დროდადრო თმებზე ეფერება. დადგა ბოშა კარებთან და მთელი ლოცვა ზეპირად დაისწავლა. მეორმოცე დღეს, ფათემეს ჯერ რომ ისევ ეძინა, ბოშა გოგო აიპარა ზემოთ, გააღო ვაჟის ოთახის კარი, წაუკითხა ლოცვა და ტანიდან უკანასკნელი, მეორმოცე ნემსი ამოაძრო. უეცრად ვაჟს ცხვირი დააცემინა, წამოდგა და თავის სასთუმალთან დახრილი ბოშა რომ დაინახა, გაოცებულმა ჰკითხა:

— შენ ვინა ხარ — ჯინი თუ ადმიანი?

ბოშამ უთხრა:

— ჯინი რად ვიქნები, ადამიანი ვარ!

— აქ როგორ ამოხვედი? — ჰკითხა ჭაბუკმა. ბოშა გოგოც ადგა და ფათემეს თავგადასავალი უამბო, ოღონდ ისე, თითქოს ყველაფერი თავად გადახდენოდა.

ვაჟმა ჰკითხა:

— სასახლეში მე და შენს მეტი კიდევ თუ არის ვინმეო?

ბოშამ უთხრა:

— მხოლოდ ერთი მხევალი მყავს და იმასაც სძინავსო.

ვაჟმა ჰკითხა:

— ცოლად თუ გამომყვები?

ბოშა გოგო უეცრად შაქარივით დატკბა და დაითაფლა, მოეხვია ვაჟსა და ლაქარდიანი ენით უპასუხა:

— რატომაც არა! ამაზე უკეთესი სხვა რაღა იქნებაო! — ამ დროს ვაჟიც მოეხვია, აკოცა და ორივენი ნეტარების მორევში გადაეშვნენ.

გაიღვიძა ფათემემ და დაინახა, რომ მთელი თავისი გარჯა-წვალება წყალში ჩაყრილიყო. საღ-სალამათი ჭაბუკი ფეხზე წამომდგარა, ბოშა გოგოს ეხვევა და არიან ერთ განცხრომასა და სიამტკბილობაში. ფათემეს გულიდან სევდიანი ოხვრა აღმოხდა. თვალი ზეცად აღაპყრო და თქვა: ღმერთო დიდებულო, თუ ჩემი გარჯისა და რუდუნების პასუხად ამას მიიღებდი, მაშ, ის იდუმალი ხმა რაღად დამძახოდა, მკვდრის წილხვდომილოო?!

ბოშა გოგო სასახლის ქალბატონად იქცა. ფათემე კი მოახლედ დაიყენა და საბრალო დღენიადაგ სამზარეულოში ტრიალებდა.

თურმე, ნუ იტყვით და, ეს ჩვენი მძინარე ჭაბუკი მეფის ერთადერთი ვაჟი ყოფილა. ჯადო რომ აეხსნა, მისი მშობლები, ფარეშები და სატახტოც გამოჩნდა. ხელმწიფემ ბრძანა ქალაქი საზეიმოდ მოერთოთ, შვიდი დღისა და შვიდი ღამის განმავლობაში ელხინათ, დიდი პურობა გაემართათ. სამეფოში ხმა გავარდა, ხელმწიფე თავის ერთადერთი ვაჟიშვილის და ბოშა გოგოს ქორწილს იხდისო.

ქორწილიდან რამდენიმე დღის შემდეგ უფლისწულს სამოგზაუროდ წასვლა მოესურვა. გამგზავრების წინ ცოლს ჰკითხა — რა გინდა, რომ ჩამოგიტანოო? ქალმა უთხრა — კარგი იქნება, თუ ერთხელ ატლასის ტანსაცმელს წამომიღებო. მერე ფათემესაც ჰკითხა, შენ რაღას ისურვებდი საჩუქრადო?

ფათემემ უთხრა: ჩვენო ბატონო, ოღონდ შენ იყავი კარგად და მე მეტი არაფერი მინდაო.

ჭაბუკმა კი დაიჟინა: გინდა თუ არა, რამე მთხოვე, ნებისმიერ სურვილს შეგისრულებო. რომ აღარ მოეშვა, ფათემემ უთხრა:

— რახან არ მეშვები, იმ უცხო ქვეყნიდან მოთმინების ქვა ჩამომიტანეო.

უფლისწულის მოგზაურობა ექვს თვეს გაგრძელდა. შინ დაბრუნების წინ უყიდა ცოლს ერთი ხელი ატლასის ტანსაცმელი და წამოვიდა თავისი ქვეყნისაკენ. უკანგზობაზე ქვას ფეხი წამოჰკრა და უეცრად მოახლის მოკრძალებული თხოვნა გაახსენდა. დიდი ძებნა-ძიების შემდეგ ერთი ვაჭრის დუქანი მიასწავლეს — მოთმინების ქვა, თუ ექნება, მაგას ექნებაო. მივიდა ვაჭართან და უთხრა, რაც უნდოდა.

ვაჭარმა ჰკითხა: — მოთმინების ქვა ვინ დაგაბარაო?

უფლისწულმა უთხრა, ჩვენმა მოახლემო.

ვაჭარმა უთხრა, არა მგონია, ვინმეს



მოთმინების ქვა უნდოდეს და მოახლე იყოსო.

— ნეტავ ერთი, რაღაცას აჰ ბოდავედ! — გაწყრა უფლისწული — მე უფრო უკეთესად ვიცი თუ შენ, ვინც დამაბარა მოთმინების ქვაო.

ვაჭარმა აღარაფერი უპასუხა. მისცა უფლისწულს მოთმინების ქვა და თან დაარიგა:

— იმის გული, ვისაც მოთმინების ქვა მოუნდომებია, დარდითა და ნაღველით არის სავსე, საჩუქარს რომ გადასცემ, ქალი საღამოს სახლის ერთ წყნარ კუთხეში მიჯდება და მოთმინების ქვას მთელ თავის ჯავრსა და გულის დარდს მოუყვება. ბოლოს იტყვის:

"მოთმინების ქვაო, მოთმინების ქვაო,
ვერ გაეძელი, ჩემი დარდი შენთან არ მეთქვაო;
რომელს მეტი გვითმენია, ნეტავ, შენ თუ მეო,
ჩემზე მეტი დარდი თუ გაქვს, ახლავ გაიპეო;
თუ არა და, რაც გადამხდა, ხომ გითხარი დღესო,
ასეთ ყოფას მირჩევნია, გული გამისკდესო".

ამ დროს შენ ოთახში უნდა შეიჭრა და გოგოს წელზე ხელი მაგრად შემოჰხვიო. თუ ასე არ მოიქცევი, მწუხარებისაგან გული გაუსკდება და მოკვდებაო. იყიდა უფლისწულმა მოთმინების ქვა და დაბრუნდა თავის ქვეყანაში. ატლასის ტანსაცმელი ცოლს უფეშქაშა, მოთმინების ქვა კი — ფათემეს. ყველაფერი მართლაც ისე მოხდა, როგორც ვაჭარმა თქვა: ფათემემ, საღამოს, საქმეები რომ მოამთავრა, წაიღო მოთმინების ქვა სამზარეულოს ერთ კუთხეში, დაიდო წინ, აანთო სანთელი და რაც თავს გადახდა, ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ბოლოს კი უთხრა:

"მოთმინების ქვაო, მოთმინების ქვაო,
ვერ გაეძელი, ჩემი დარდი შენთან არ მეთქვაო;
რომელს მეტი გვითმენია, ნეტავ, შენ თუ მეო,
ჩემზე მეტი დარდი თუ გაქვს, ახლავ გაიპეო;
თუ არა და, რაც გადამხდა, ხომ გითხარი დღესო,
ასეთ ყოფას მირჩევნია, გული გამისკდესო."

ამ დროს უფლისწული სამზარეულოს მეორე კუთხეში იდგა და ყველაფერს გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს. გადმოხტა, გოგოს წელზე ხელი მაგრად შემოჰხვია და მოთმინების ქვას დაუძახა: უმჯობესია, თვითონ შენ გაიპოო. მართლაც, გასკდა მოთმინების ქვა და მისგან სისხლის ერთი ლეკერტი გადმოვარდა. ფათემეს მღელვარებისაგან გული შეუწუხდა. უფლისწულმა აიყვანა ქალიშვილი და თავის ოთახში დააძინა. მეორე დღეს კი ბოშა გოგო ჯორის კუდზე გამოაბეს, მერე ჯორი დააფრთხეს და ქვა-ღორღიან ბილიკებს გაუყენეს.

ამის შემდეგ ქალაქი ისევ საზეიმოდ მორთეს და გააჩირაღდნეს, შვიდი დღე და შვიდი ღამე ქორწილი ჰქონდათ, ჩვენც იქ ვიყავით იმ ქორწილში, კარგადაც მოვილხინეთ. როგორც იმათ თავიანთი საწადელი აუსრულდათ, ღმერთმა ქნას, თქვენს საწადელს ისე თქვენც ეწიოთ.

სპარსულიდან თარგმნა
გიორგი ლობჟანიძე



# ლამაზი თმა ერთ ქალად ღირს

## რჩევები გოგონებს

ფრანგებს ერთი ასეთი ანდაზა აქვთ: "ქალს თავი და ფეხები ქმნიანო". ანდაზა კი იმას გვეუბნება, რომ ირგვლივ მყოფნი უწინარეს ყოვლისა მოვლილ თმასა და მოხდენილ ფეხებს აქცევენ ყურადღებას. დღეს გვინდა გოგონებს თმაზე, მის მოვლაზე გესაუბროთ.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ თქვენი თმების მდგომარეობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა რაოდენობის ვიტამინებსა და მიკროელემენტებს შეიცავს თქვენი საკვები. თუ გინდათ, რომ ჯანმრთელი და ლამაზი თმები გქონდეთ, თქვენს რაციონში უთუოდ უნდა შედიოდეს A,B ვიტამინები, გოგირდის, რკინის შემცველი პროდუქტები (ხახვი, კომბოსტო, თალგამი, ბარდა, ლობიო), ხილი...

კიდევ ერთი რამ უნდა გაითვალისოთ — თქვენი თმა მაშინ არის ავად, როცა თქვენ თვითონ ცუდად გრძნობთ თავს. ვთქვათ, ვერ გამოიძინეთ, თქვენი თმა უმალ დაკარგავს ბზინვარებას. ხოლო თუ რაღაცის გამო განერვიულებული ხართ, თმა ურჩობას დაიწყებს და იმასაც შეამჩნევთ, რომ გაუხეშდა, იმტვრევა. ამან არ შეგაშინოთ, თმის "პროტესტი" დროებითია და გიმეორებთ, მისი გამოჯანმრთელება თქვენს ფიზიკურ მდგომარეობასა და გუნებაგანწყობილებაზეა დამოკიდებული. სხვა ამბავია, თუ თმას სულ ნაცრისფერი დაჰკრავს და უსიცოცხლოდ გამოიყურება. ასეთ შემთხვევაში ექიმს უნდა მიმართოთ.

აუცილებლად გაითვალისწინეთ ისიც, რომ თმა შეიძლება სავსებით ჯანსაღ გოგონასაც სტკიოდეს. შესაძლოა თმის ავადმყოფობა "კუდზე" რეზინის მეტისმეტად მჭიდროდ შემოხვევამ, ქიმიური საღებავების ან შეუფერებელი შამპუნის თუ საპნის ხმარებამაც გამოიწვიოს. კიდევ ერთი მიზეზი ყინვასა თუ ქარში თავშიშველი სიარულია — თავის კანის სისხლძარღვები სიცივისაგან ვიწროვდება, თმა სათანადოდ ვეღარ იკვებება და ცვენას იწყებს. ცოტა უხერხული კია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ უნდა შეგახსენოთ, რომ თმის ავადმყოფობას ელემენტარული უსუფთაობაც იწვევს. ბევრი თქვენგანი ალბათ საგონებელშია, არ იცის, რამდენად ხშირად უნდა დაიბანოს თავი, რითი დაიბანოს — საპნით, შამპუნით, თუ კვერცხის გულით. ამასთან დაკავშირებითაც მოგცემთ რამდენიმე რჩევას. ცხადია, გეცოდინებათ, რომ თმა, ისევე როგორც კანი, შეიძლება იყოს ნორმალური, მშრალი და ცხიმიანი. ნორმალური თმა მაშინ უნდა დაიბანოთ, როცა შეატყობთ, რომ გეჭუჭყიანდება, ისე რომ ასეთი თმის პატრონ გოგონებს თავის დაბანვის პრობლემა არ უნდა ჰქონდეთ — დაიბანეთ თავი კვირაში ერთხელ. მშრალი თმის პატრონებს კი უფრო მეტი სიმშრალის თავიდან ასაცილებლად ვურჩევთ ათ დღეში ერთხელ დაიბანონ იგი. ცხიმიან თმას რაღა ვუყოთ? დღეს რომ დაიბანთ, ხვალზეგ თმა ისევ დასაბანი და მოუვლელი ჩანს. მაშ რა ჯობია — დღეგამოშვებით ბანვა თუ თავდაუბანელი სიარული? ზოგს მიაჩნია, რომ რაც უფრო ხშირად დაიბანს ცხიმიან თმას, მით უფრო ცხიმიანი გაუხდება, სხვებს კი ურჩევნიათ ყოველდღე იბანონ თავი, ოღონდ კი ვინმეს თავდაუბანელი და ბინძური არ ეგონოს. უნდა გითხრათ, რომ ეს და სხვა პრობლემებიც სულ ადვილად გადაიჭრება, თუ თმას სწორად დაიბანთ.

ვნახოთ, რა იგულისხმება სწორად ბანვაში. პირველი და აუცილებელი წესი — წყალი არამც და არამც არ უნდა იყოს ქაფქაფი, დაიბანეთ სასიამოვნოდ თბილი წყლით. კარგი იქნება თუ გამთბარ კი არა, ანადუღარ წყალს იხმართ, მით უმეტეს თუ იგი ხისტია. წყლის "დარბილება" სხვა გზითაც შეგიძლიათ — ყოველ ლიტრ წყალს ნახევარი ჩაის კოვზი საჭმელი სოდა ჩაუმატეთ.

ცხიმიანი თმის პატრონებმა საგულდაგულოდ უნდა შეარჩიონ, შამპუნი იქნება თუ საპონი. მადლობა ღმერთს, ახლა მათი დიდი არჩევანი არსებობს, ისე რომ ეცადეთ, მხოლოდ ცხიმიანი თმისთვის გათვალისწინებული დასაბანი საშუალებები იხმაროთ. სხვათაშორის, ზოგი ქალი შამპუნისა და საპნის ნაცვლად სულაც კვერცხის გულს ხმარობს, მაგრამ ჩვენი დღევანდელი ყოფისათვის კვერცხს თავის დასაბანად ბევრი ვერ გაიმეტებს.

არ გეგონოთ, მშრალი თმის პატრონები იყვნენ დალხინებულები. საზრუნავი მათაც საკმაოდ აქვთ. გარდა იმისა, რომ მშრალი თმა მოკლებულია ბუნებრივ ბზინვარებას, იგი ადვილად იმტვრევა, ბოლოები ეყოფა. მაგრამ არც ეს უბედურებაა უსაშველო. უწინარეს ყოვლისა, აქაც შესაფერისი საპონი უნდა შეარჩიოთ (შამპუნის ხმარებას საერთოდ არ გირჩევთ) — "საბავშვო", "კოსმეტიკური", "დალონილისა"... გარდა ამისა, შეგიძლიათ თვეში ერთხელ ზეთის კომპრესი გაიკეთოთ, შეათბეთ, შეიზილეთ თავის კანში, ამის შემდეგ თავი პოლიეთილენის ქუდით ან თავსაფრით შეიფუთნეთ, ზევიდან კი პირსახოცი შემოიხვიეთ. ერთი საათის შემდეგ ჩვეულებრივად დაიბანეთ თავი.

თქვენ წარმოიდგინეთ, თმის გაშრობასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონია. სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ გასაშრობად ფენის ხშირი ხმარება მაინცადამაინც სასურველი არ არის, განსაკუთრებით მაშინ, თუ თმა სუსტია. ყველაზე მისაღებად მათ ასეთი რჩევა მიაჩნიათ — ჯერ ფრთხილად ჩამოიწურეთ პირსახოცით, მერე მეორე უფრო სქელი პირსახოცით ნაზად, ფრთხილად გაიმშრალეთ, არასდროს არ დაიტოვოთ თავზე სველი პირსახოცი, დააცალეთ თმას თავისუფლად გაშრეს, უბრალოდ დროდადრო ხელით აიშალეთ ხოლმე და თან თავის კანიც დაიზილეთ, სავარცხელი და ჯაგრისი კი მოგვიანებით აიღეთ ხელში.



# საახალწლო მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო

საახალწლო ჩვეულება თითქმის იმდენნაირი არსებობს, რამდენიც ხალხია დედამიწაზე. ადამიანები უხსოვარი დროიდან აღნიშნავდნენ ახალი წლის დადგომას. შემონახულია ცნობა, რომ ბაბილონში საახალწლო ცერემონიალი სამი ათასი წლის წინათაც კი იმართებოდა. ხშირად იგი ბუნების ცვლილებებთან, მთვარის ფაზის დაკლებასთან ან მომატებასთან იყო დაკავშირებული. ჩვენს ერამდე პირველ საუკუნეში, რომის იმპერატორ იულიუს კეისრის დროს, როგორც ცნობილია, შეიქმნა ე.წ. იულიუსის კალენდარი. სწორედ ამის შემდეგ, პირველი იანვარი ბევრ ქვეყანაში წელიწადის დამდეგად ითვლება. ძველი რომიდან იღებს სათავეს აგრეთვე პირველი იანვრის დიდი ზეიმით შეხვედრის ტრადიცია. ღმერთ იანუსისადმი რიტუალური შეწირულობანი, ადამიანებს თანდათან ახლანდელ ჩვეულებად გადაექცათ. (ერთმანეთისათვის საჩუქრის მირთმევა, რასაც თან ახლავს კეთილი სურვილები).

აზიის და აფრიკის ბევრ ქვეყანაში ახალ წელიწადს, პირველი იანვრის გარდა, სხვა დროსაც აღნიშნავენ: ეთიოპიაში 10 ან 11 სექტემბერს, ინდოეთში სხვადასხვა დროს, ამა თუ იმ რელიგიის შესაბამისად, ირანში 21 მარტს.

ირანელები ახალ წელიწადს "ნოვრუზს" უწოდებენ და 13 დღის მანძილზე ზეიმობენ. ჩვეულების მიხედვით, ამ დღესასწაულისათვის ყველამ უნდა მოიმზადოს თუნდაც ერთი ხელი ახალი ტანსაცმელი. ახალი წლის ღამეს ეზოებში კოცონს ანთებენ, ალს გადაახტებიან და ასე განიწმინდებიან. ირანის სხვა რაიონებში არსებობს წყალზე გადახტომის ჩვეულებაც, რათა შიგ "ჩაახრჩონ" ყოველგვარი წარუმატებლობა.

ჩილელებსა და იაპონელებს დღემდე შერჩათ ერთი ჩვეულება: წელიწადის დამდეგისათვის ისტუმრებენ ყველა ვალს, რათა ძველი ვალებით არ შეხვდნენ ახალ წელიწადს.

რუმინეთში საახალწლო სუფრაზე ნამცხვრებში მუდამ რაღაც სიურპრიზია ხოლმე, მაგალითად, შიგ ჩატანებულია ფული, ფაიფურის პატარა თოჯინები, ბეჭდები, ცხარე წიწაკა. ბეჭედი ვისაც შეხვდება, იცოცხლეთ, გაიხარებს, მაგრამ ცეცხლივით წიწაკას ვინც იგემებს...

კუბაში ახალი წლის დადგომისას ჭურჭელს წინდაწინ წყლით ავსებენ და, როცა საათი საჰჯერ დარეკავს, წყალს ფანჯრებიდან ღვრიან. ამით ძველ წელს წყალს ატანენ, ამას გარდა, კუბაში ახალი წლის დამდეგისას ყველამ უნდა იგემოს ყურძნის მარცვალი — ახალი წელი ასე ტკბილად გაგვეტარებინოსო.

უნგრეთში პირველ იანვარს გოგო-ბიჭები ქუჩებში გამოეფინებიან, შედგებიან ყოველი ფანჯრის წინ, გამოიხმობენ მასპინძელს და უსურვებენ ავსებულიყოს მისი ბეღლები მარცვლით, გავსებულიყოს კასრები ღვინით... მასპინძლები შინ შეიპატიჟებენ კეთილ მსურველებს და სადღესასწაულო სუფრას უშლიან. საინტერესოა, რომ უნგრეთში საახალწლო სუფრაზე არ გაჭაჭანდება ფრინველის ხორცი. ხალხს ღრმად სწამს, რომ ეს ცოცხალ ქათმებს, ინდაურებს, იხვებს, ბატებს გაანაწყენებს, გაფრინდებიან და თან წაიღებენ ბედნიერებას.

ვიეტნამში, როცა დედამიწას ბინდი შებურავს, კოცონებს გააჩაღებენ, კოცონთან იკრიბება მთელი ოჯახი და ნაკვერცხლებზე ამზადებენ ბრინჯის შეჭამადს "ხანჩანგს" და ღამესაც იქვე ათენებენ. მეორე დღეს კი ვიეტნამელებს შინიდან ფეხს ვერ მოაცვლევინებ.

დეკემბრის უკანასკნელ დღეს, როგორც კი საათი თორმეტჯერ შემოჰკრავს, ოჯახის რომელიმე წევრი კარს ეცემა და ფართოდ აღებს, "რათა რაც შეიძლება მალე გაუშვას ძველი და შემოუშვას ახალი წელი". ასე მოითხოვს შოტლანდიაში არსებული ძველი ჩვეულება. შემდეგ, ცხადია, გაისმის სადღესასწაულო სადღეგრძელოები. შეკრებილები ხელიხელჩაკიდებულნი მღერიან ეროვნულ სიმღერას ბერნსის სიტყვებზე. მაგრამ ეს ყველაფერი როდია, საუკუნეთა მიღმიდან დღემდე მოაღწია სხვადასხვა რწმენამ, რომლებიც აქამდე შენარჩუნებულია შოტლანდიის ზოგიერთ კუთხეში. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ახალ წელს სახლში პირველად ვისი ფეხი შემოაბიჯებს. თუ შავგვრემანი შემოვა, ეს კარგი ნიშანია, მწითური — ავის მაუწყებელია, ქალის გამოჩენა ღმერთმა დაგვიფაროს — ეს უბედურების მომასწავებელია.

მოხერხებულმა შოტლანდიელებმა კარგა ხანია იპოვეს თავის დაცვის ხერხი. ახალი წლისთვის შავგვრემნებს ქირაობენ, და ისინი დაუვლიან ხოლმე ოჯახებს. ჩვეულების მიხედვით, "კეთილ ფეხს" თან მოაქვს ქვანახშირის ნატეხი, შესვლისთანავე ცეცხლში აგდებს მას და გაიძახის: "დაე დიდხანს ენთოს ეს კერა". მსგავსი ჩვეულება არსებობს ფილიპინის კუნძულების სოფლებშიც, ოღონდ მათთვის მთავარი თმის ფერი კი არ არის, არამედ ხმა, რომელსაც ადამიანი ახალ წელს პირველად გაიგონებს: თუ ეს







ძაღლის ყმუილი იქნება, მაშინ უბედურება მოსალოდნელი, ძროხის ბღავილს კი, პირიქით, უხვი მოსავალი და საერთო ბედნიერება მოაქვს.

დილით საკვამურის მწმენდავის დანახვა ავსტრიაში კარგ ნიშნად ითვლება. კეთილი სიმბოლოებია აგრეთვე ღორი, სოკო, ნალი. ვენის ზარაფხანა ყოველწლიურად უშვებს სპეციალურ მედალს, მასზე ახალი წელი გოჭზე ამხედრებული ჩვილის სახით არის გამოსახული. საახალწლო მენიუში კიბორჩხალებსა და ასთაკვებს არასგზით არ შეიტანენ. რატომ? ეს არსებანი ძალზე ნელა მოძრაობენ, ამიტომ მათ თუ შეჭამ, მთელ წელიწადს "წინ ვეღარ წაიწევო" — ამბობენ.

თურქეთში ასეთი ჩვეულება აქვთ: 31 დეკემბერს, ზუსტად შუაღამეს მცირე ხნით ქრება შუქი. სიბნელეში გაისმის მხიარული ყიჟინა. დამსწრეები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები, ცდილობენ აკოცონ თანამესუფრე მეზობელს, როცა შუქი აინთება, სადღესასწაულო ვახშამს მიუბრუნდებიან. თუ ოჯახს საშუალება აქვს, საახალწლო სუფრა 30-40 კერძისაგან მაინც უნდა შედგებოდეს.

ტროპიკული ტაილანდის ბევრი მცხოვრები ახალ წელიწადს შინ არ ხვდება. შეღამდება თუ არა, მხიარული ბრბო ქუჩებს და მოედნებს ავსებს. სეირნობენ, ერთობიან ქუჩის მსახიობთა წარმოდგენებით, ელოდებიან, როდის ჩამოკრავს ბუდას ტაძრის ზარი. ზარის წკრიალი აუწყებს მათ ახალი წლის დადგომას, რომელსაც ხალხი გაუგონარი ყიჟინით ხვდება. ტაილანდში ახალ წელს ორჯერ აღნიშნავენ — პირველ იანვარს ახალი ჩვევით და 13-15 აპრილს ძველი ჩვევით.

ახალი წლის ღამეს რაც შეიძლება მეტი ხმაური დედამიწის მრავალი ხალხის ჩვეულებაა. ეს ჩვევა, როგორც ჩანს, სათავეს იღებს უძველესი რწმენიდან, რომლის თანახმადაც ხმაური აშინებს ავ სულებს და კეთილი სულებისათვის ათავისუფლებს ადგილს. ამასთან ლიბერიაში, სადაც ახალი წლის ღამეს საკმაოდ ხმაურობენ, ამ ჩვეულებას სხვაგვარად ხსნიან: როგორც ახალშობილი ყვირილით ეგებება ქვეყანას, ისე ახალი წელიც ხმაურით უნდა შეხვდეს თავის დაბადებასო.

ლიბერიელები ძველი წლის გაცილებას და ახალი წლის დადგომას სიმღერით აღნიშნავენ. ბრიტანეთის კუნძულების ზოგიერთ რაიონში, ახალი წლის დამდეგამდე ცოტა ადრე ზარებს რაიმეს შემოახვევენ, რათა შეასუსტონ მისი ხმა და მინორული ჟღერადობა მისცენ მომაკვდავ, ძველ წელს. ნაშუაღამევს ზარებს სახვევს მოაცილებენ და მთელი ხმით რეკენ ახალი წლის სადიდებელს.

დანიაში, ახალგაზრდები სახლიდან სახლში გადადიან, აბრახუნებენ კარებზე და ხალხს ახალი წლის დადგომას ყვირილით ულოცავენ. ბევრ ქვეყანაში პირველი იანვრის ღამეს დიდი ფეიერვერკები იმართება, ამ მხრივ განსაკუთრებულ ოსტატებად მექსიკელები ითვლებიან. მათი უჩვეულოდ ლამაზი საახალწლო ფეიერვერკი საათობით გრძელდება. ღამით ცაზე გამოჩნდება ხოლმე ცეცხლოვანი ჯვრები და ყვავილები, ფრინველის და თევზის მრავალფეროვანი გამოსახულებანი. ახალი წლის ღამეს საკმაოდ ხმაურობენ აგრეთვე ჩვეულებრივ თავდაჭერილი ისლანდიელებიც. კუნძულებზე გაშლილ ამ ქვეყანაში ახალ წელიწადს ხშირად მოედანზე ან მინდორზე დიდ კოცონებთან ხვდებიან. სადღესასწაულო ვახშმის შემდეგ კოცონთან აწყობენ წარმოდგენებს. ამ საღამოზე არჩეული "მეფის", "დედოფლისა" და "კარის დიდებულთა" მონაწილეობით, მღერიან ხალხურ სიმღერებს, მათ შორის, ელფებსა და ფერიებზე — ისლანდიის ფოლკლორის უცვლელ პერსონაჟებზე.

ახალი წლის ღამეს კონგოს სოფლებშიც დიდ კოცონებს ანთებენ და ხალხი მის ირგვლივ ცეკვავს ტამტამების ხმაზე.

იტალიაში კი, პირიქით, ქუჩაში არავინ არ გამოდის, შინ სხედან და, როგორც კი თორმეტი შესრულდება, ფანჯრებიდან გადმოუშვებენ ათას ხარახურას, ნახმარ ჭურჭელს, ავეჯს თუ სხვ. იტალიელებს სწამთ, თუ ძველს მოიცილებენ, ახალს უფრო შეიძენენ.

ინდოეთში ახალი წლის ღამეს კატეგორიულად არის აკრძალული ჩხუბი, აყალმაყალი და ერთმანეთის ლანძღვა. იმ დღეს ყველა ცდილობს ერთმანეთის მიმართ თბილი და ლმობიერი იყოს.

შვეციაში ყოველწლიურად, დეკემბრის ბოლოს ყოველი ქალაქი ირჩევს ხოლმე თავის "ლუჩიას" — დედოფალს. ამ კონკურსში გოგონები მონაწილეობენ. გაზეთები ბეჭდავენ დედოფლობის კანდიდატთა პორტრეტებს. ლუჩიას თავზე გვირგვინს ადგამენ, ხელში იმდენ ანთებულ სანთელს დააჭერინებენ, რამდენი წლისაც არის, ასე მორთულ-მოკაზმული დადის იგი ხალხში და საჩუქრებს არიგებს.





# ილუსტრირებული ვიქტორინა

ეროვნული ბიბლიოთეკა



1. ... წმინდა გიორგის ტაძარი ყველაზე მაღალია საქართველოში, ამ ყელყარყარა ქმნილების სიმაღლე ... მეტრია.

2. ღვთისმშობლის სახელზე აგებული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, ლიხნეს ტაძარი ... რაიონში მდებარეობს და X-XI საუკუნეებით არის დათარიღებული.



3. გუმბათდაზიანებული, ჭერჩაქცეული ... ბოლნისის რაიონშია, ბოლნისის სიონიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით.



4. XVI-XVIII საუკუნეთა ეპოქის აგურით ნაშენი ეს სამრეკლო დგას ... ძველი საეპისკოპოსო ტაძრის გალავანში. აქაურობამ შთააგონა გიორგი ლეონიძეს დიდებული ლექსი ...



5. ეს სვეტისთავი ... სიონის ტაძარს ამკობს.



6. ... ტაძართან არის დაკავშირებული საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა (XII-ს), რომელმაც ხელი შეუწყო დასუსტებული და განადგურებული საქართველოს აღორძინებისათვის აუცილებელი ცენტრალიზაციის ამოცანის გადაწყვეტას.



# COMICS
# კომიქსის შესახებ

კომიქსი (ინგლისური comic – სასაცილო), მოკლე ტექსტებით აღჭურვილი ნახატების სერიაა, რომელთა განმასხვავებელი, თუმც კი არა განმსაზღვრელი ნიშან-თვისებაა სერიულობა და მუდმივი მოქმედი გმირები. თავდაპირველად კომიქსი ამერიკის შეერთებულ შტატებში იშვა. მერე კი მთელ მსოფლიოში გავრცელდა. თხრობითი ნახატების თანმიმდევრული მონაცვლეობა ტექსტობრივ ინფორმაციასთან ერთად, რომელიც, ჩვეულებრივ "ბუშტებში" მოლაპარაკის პირდაპირ არის ხოლმე გადმოცემული, ერთ მთლიანობას ქმნის. კომიქსებზე მომუშავე მხატვრები ფართოდ იყენებენ სახვითი ხელოვნებისა და კინოს გამომსახველობით შესაძლებლობებს. კომიქსები გამოდის ცალკეული საჟურნალო გამოშვებების სახითაც, ალბომების, პატარ-პატარა წიგნების სახითაც, იმავე დროს მათ გარკვეულ ადგილს უთმობენ საბავშვო ჟურნალ-გაზეთებში და დიდებისთვის განკუთვნილ სქელ ილუსტრირებულ ჟურნალებშიც.

ზოგ ქვეყანაში კომიქსებიანი ყოველკვირეული ჟურნალ-ბროშურები, რომლებიც ან დასრულებულ, ან გაგრძელებებიან ისტორიებს მოუთხრობენ მკითხველს, ნახევარმილიონზე მეტი ტირაჟითაც კი იბეჭდება, შედარებით ნაკლები, დაახლოებით 300 000-მდე ეგზემპლარს შეადგენს ალბომები და მცირეფორმატიანი წიგნების ტირაჟი, რომლებიც თვეში ორჯერ ან წელიწადში ოთხჯერ გამოდის.

ასეთი კომიქსები თითქმის ყველა კიოსკსა და მაღაზიაში იყიდება, ისე რომ, ბავშვებს შეუძლიათ თვითონვე შეიძინონ ისინი, მითუმეტეს, რომ მათი ფასიც, ძირითადად ზომიერია.




ბოლო ხანებში კომიქსებში დიდი ადგილი დაიკავა მულტიპლიკაციურმა სერიალებმა. 6-დან 12 წლამდე ასაკის ბავშვებს ძირითადად თავშესაქცევ, სასაცილო ნახატ ისტორიებს სთავაზობენ. ასეთ კომიქსებში გამომსახველობითი მანერა კარიკატურას უახლოვდება, მოქმედ პირებს კი გაშარჟებული, ტიპიზირებული, სასაცილო ფიგურები წარმოადგენს.

უფრო მოზრდილი გოგო-ბიჭებისთვის განკუთვნილი კომიქსები უფრო ნატურალური ან იდეალიზირებული ხასიათისაა, მაგალითად, კომიქსები ზეგმირებზე. ყველაზე მეტად ყველა ქვეყნის ბავშვებს მოსწონთ სათავგადასავლო ამბები, დეტექტივები, ისტორიები მოჩვენებებზე, განძის ძიებაზე, თუმცა, ზღაპრებსა და




სამეცნიერო ფანტასტიკაზე აგებულ კომიქსებსაც მრავლად ჰყავს მკითხველი. იყო საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების კომიქსის ენაზე "თარგმნის" ცდები, მაგრამ ეს პროცესი აუცილებლად მოითხოვდა ტექსტის შემცირებას, გადასხვაფერებას, რაც ლიტერატურული ნაწარმოების ხელყოფა-დამახინჯებას იწვევდა. სწორედ ამ ძირითადი მიზეზის გამო კომიქსების შემქმნელებმა ხელი აიღეს ამგვარ ექსპერიმენტებზე. საზოგადოებრიობის, მშობლების, მასწავლებლების გარკვეული ნაწილი მაინცდამაინც არ იწონებს ბავშვების, მეტადრე მოზარდების გატაცებას კომიქსებით. ასეთთა აზრით, კომიქსი კითხვისადმი ავტომატურ, ზედაპირულ, გაიოლებულ დამოკიდებულებას აჩვევს ბავშვს, რასაც თანდათან მოსდევს კითხვის სტიმულის დაკარგვა. კომიქსს ისე, თავის შესაქცევად ფურცლავენ, მოთხრობილი ამბის არსში და შინაარსში ჩაწვდომის სურვილის გარეშე.

მაგრამ, კომიქსიც არის და კომიქსიც. ჩვენ, მაგალითად, მიგვაჩნია რომ, გამართული, დახვეწილი ტექსტი და მაღალ დონეზე შესრულებული მხატვრობა ხშირად ნამდვილად ღირებულ ნაწარმოებს ქმნიან, რომელიც აუცილებლად ტოვებს ბავშვის გონებაში, სულში, გულში გარკვეულ კეთილ მარცვალს.

ისე რომ, ჩვენც თქვენს გვერდით გვიგულვეთ, კომიქსის მოყვარულებსო, ის კი არა, გვინდა თანამშრომლობა შემოგთავაზოთ: გამოგვიგზავნეთ თქვენ მიერ მოგონილი სიუჟეტები, ნახატები კომიქსებისთვის – შეიძლება, რომელიმე თქვენგანმა უკვე გამზადებული კომიქსიც მოიტანოს რედაქციაში.



ვისაც ხშირად უხდება ძაბრით სარგებლობა, იცის, თუ როგორი "გაჯიუტება" იცის ვიწროყელიან ჭურჭელზე დაცობილმა ძაბრმა. გააკეთეთ მავთულხლართებისა-



გან ისეთი საბჯენი, როგორიც ამ ნახატზეა ნაჩვენები და საქმე ძალზე გაგიადვილდებათ.

* * *

რეზინის მილი შუაზე ისე ამოჭერით, როგორც ამ სურათზეა ნაჩვენები, მერე გაზის



(მარწუხის) სახელურებს საიზოლაციო ლენტები დაახვიეთ და იმ სახელურებზე ამოჭრილი მილები წამოაცვით. რეზინი ზამბარის მაგივრობას გასწევს და ხელსაწყო იოლი სახმარი იქნება, თანაც, ხელის დაწეწკვის საშიშროებასაც აიცდენთ.

* * *

პატარა სახელურში წვერით ჩასობილი საკანცელარიო კალამი კარგი საშუალებაა ბლის, ქლიავის, ღოღნოშოს, ალუბლის კურკების გამოსაცლელად.



* * *

ერთი შეხედვით სრულიად მოუხერხებელ კიბის სახელურს შეიძლება გაუკეთდეს კოხტა და მოსახერხებელი ჩამოსაჯდომი.



* * *

შხაპმა შხეფები რომ არ გაფანტოს და სააბაზანო არ დაასველოს, ამისათვის სულ უბრალო რამ არის საჭირო. გააკეთეთ მავთულის კარკასი, ზედ მუშამბა ან პლასტმასა შემოახვიეთ და საშხაპეს თავზე ჩამოაცვით.



* * *

ალბათ ხშირად გადაწყდომიხარ ასეთ პრობლემას — გინდა სურათი კედელზე ჩამოკიდო, მაგრამ ვერ ახერხებ. რატომ? კედელი ქვისაა, ლურსმანი — რკინის, ლურსმანი ქვაში არ შედის. როგორ უნდა მოიქცე? თავდაპირველად კედელში ბუდე გააკეთე. რითი? შეგიძლია გამოიყენო სატეხი, ბურღი ან წაკვეთილთავიანი სახვრეტელა. შემდეგ ამ ბუდეში მჭიდროდ ჩააჭედე ხის საცობი. ხის საცობში ადვილად ეჭედება ლურსმანიც, კავიც და კაუჭა ლურსმანიც.



* * *

თუ ფიცრის გახერხვისას ხერხი იჭედება, ნუ დაღონდები, ჭრილში პატარა სოლი ჩაარჭე და საქმეც გაგიიოლდება.

# იწილო-მიწილო



მინდორში 12 ძროხა და 20 ცხვარი ძოვს. ორი სწორი ხაზით მინდორი ოთხ ნაკვეთად გაყავით ისე, რომ თითოეულ მათგანზე 3 ძროხა და 5 ცხვარი აღმოჩნდეს.



· დაეხმარეთ გემის კაპიტანს, გზა გაიკვლიოს ყინულებში და პორტამდე მიაღწიოს.





იპოვეთ განსხვავებები ამ ორ ნახატს შორის.

### "ნაკადულის" წინა ნომერში დაბეჭდილი კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. სინაგოგა; 6. ბრაზილია; 8. მინოტავრი; 11. კანოე; 14. უნცია; 15. კალიარი; 16. პეგასი; 17. ოკეანე; 21. ანანასი; 22. დანია; 23. დიუნი; 26. სემინარია; 27. მისტერია; 28. ბალერინა.

შვეულად: 1. ვიეტნამი; 2. თოლია; 3. კაირო; 4. პირამიდა; 7. უტოპია; 9. მონტესკიე; 10. ინდონეზია; 12. ტაისონი; 13. პრეკოსი; 18. ტრაპეცია; 19. ანგინა; 20. ვინსტონი; 24. ზებრა; 25. ვიალი.

თარაზულად: 2. ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა მეორეზე მისი დაპყრობის მიზნით. 5. იგივე ადგილი. 8. აფრიკის სახელმწიფო. 9. ჯეკ ლონდონის გმირი. 11. კაკბის მსგავსი მომცრო ფრინველი. 13. ბუვიეს რომანი. 14. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში. 15. კონტინენტი. 17. პატარა მტაცებელი ნადირი. 20. ჩეხეთის დედაქალაქი. 21. აპარატი, რომლითაც სიგნალებს გადასცემენ და იღებენ. 22. ჭაობის მცენარეთა ხრწნის შედეგად წარმოშობილი მკვრივი მასა, რომელსაც საწვავად იყენებენ. 24. გზა საწყისი პუნქტიდან საბოლოო პუნქტამდე. 29. ჩონჩხის ნაწილი. 32. მთავარი სისხლძარღვი. 33. სახელმწიფო აზიაში. 34. სისხლნაკლებობა. 35. ქალაქი საფრანგეთში.

შვეულად: 1. ქვითკირის სამარე. 2. სოფლის მეურნეობის სპეციალისტი. 3. ხალხური საგმირო სიმღერები, პოემები, თქმულებები. 4. სახელმწიფო აზიაში. 6. საფრანგეთის მეფეთა სახელი. 7. ებრაელთა სამლოცველო სახლი. 10. რომის იმპერატორი. 12. უ. შექსპირის ნაწარმოების პერსონაჟი. 15. ხილი. 16. მერქნიანი მცენარე, ისხამს ყვითელ ან თეთრ ყვავილებს. 18. შინაური ცხოველი. 19. საკურთხევლის ტახტი ეკლესიაში. 20. ქალაქი იტალიაში. 23. ფოთის ძველი სახელწოდება. 26. ადამიანის მოღვაწეობის საბოლოო მიზანი. 27. სამხრეთამერიკული აქლემი. 28. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. 30. დამუხტული ატომი ან ატომთა ჯგუფი, რომელშიც ერთი ან რამდენიმე ელექტრონი ნორმაზე მეტია ან ნაკლები. 31. კომში ანუ...



# სიცილის გაკვეთილი



* * *

– მითხარი, გეთაყვა, ის თქვენი ბიჭუნაა, ჩემ შარვალში სილას რომ ყრის? – ჰკითხა ბატონმა მაიერმა გვერდით მჯდომ კაცს.

– არა, დისწულია, – მიუგო მან, – ჩემი ბიჭუნა აგერ ის არის, თქვენ შლიაპას წყლით რომ ავსებს.

* * *

სკოლიდან დაბრუნებულმა პეტერმა მამას ახარა: დღეს უკანა მერხზე აღარ ვიჯექიო. (გერმანიაში უკანა მერხზე ყველაზე ჩამორჩენილ მოსწავლეებს სხამენ).

– კარგია, შვილო, კარგი! აბა, მომიყევი, რატომ გადმოგსვეს წინ?

– იმიტომ რომ, უკანა მერხი შეღებეს, – მიუგო ბიჭმა.

* * *

გამყიდველმა პატარა მუშტარს ქოთანში თაფლი ჩაუსხა და უთხრა:

– აი, ბიჭიკო, 50 პფენინგისაა, ფული სადა გაქვს?

– ქოთანში, – მიუგო ბავშვმა.



* * *

მასწავლებელი: ტომ, მითხარი, რომელ ბრძოლაში განაცხადა გენერალმა ვულფმა: "ჩვენ ვძლიეთ მტერს და ბედნიერები ვკვდებითო"?

ტომი: თავის უკანასკნელ ბრძოლაში, მასწავლებელო.

* * *

პატარა კურტმა დედას შესჩივლა უფროს ძმაზე: მაქსმა სილა გამარტყაო.

– ნუ სტყუი, თორემ კიდევ გაგარტყამ, – შეუბღვირა მაქსმა.



* * *

– დედა, იცი, მე ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტე არქტიკის მკვლევარი გავხდე.

– ძალიან კარგი, შვილო, მივესალმები შენ გადაწყვეტილებას.

– ალბათ, დამეთანხმები, რომ მზადება ახლავე უნდა დავიწყო და უარს არ მეტყვი ექვსი პენსის მოცემაზე, ნაყინი უნდა ვიყიდო, რომ სიცივეს აქედანვე შევეჩვიო.

* * *

კურტს სკოლაში დააგვიანდა. გაკვეთილი კარგა ხნის დაწყებული იყო. ბიჭმა მორიდებით შეაღო კარი და მასწავლებელს კლასში შესვლის ნებართვა სთხოვა.

– შემოდი, შემოდი, – უთხრა მასწავლებელმა. მერე კი ჰკითხა: რატომ დააგვიანე?

– ხომ იცით, როგორ ყინავს დღეს, ქუჩები ისეა მოლიპული, რომ ერთ ნაბიჯს რომ წინ გადმოვდგამდი, ორი ნაბიჯით უკან მივსრიალებდი.

– ხედავ შენ, რაში ყოფილა საქმე? საინტერესოა, ბოლოს როგორ მოაღწიე სკოლამდე?

– სულ უბრალოდ, მასწ, სკოლისკენ ზურგით შემოვბრუნდი, პირი კი სახლისკენ ვქენი.

* * *

მასწავლებელი: როგორ ფიქრობ, ჯონ, შექსპირი დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, იქნებოდა თუ არა არაჩვეულებრივი ადამიანი?

მოსწავლე: რა თქმა უნდა, ის ხომ ახლა 400 წლის იქნებოდა!

* * *

ათი წლის ვილიმ თავის მასწავლებელს დაურეკა.

– პატივცემულო ვაგნერ, ვილი ბრაუნი ავად გახდა და დღეს სკოლაში ვერ მოვა.

– სამწუხაროა, სამწუხარო, – მიუგო მასწავლებელმა. მითხარით, გეთაყვა, ვინ მელაპარაკება?

– ვინ გელაპარაკებათ? ვინ გელაპარაკებათ და... – აბლუკუნდა ვილი, – მამაჩემი.

* * *

– დედიკო, ჩვენი ხატვის მასწავლებელი ცხენს ვერ სცნობს.

– როგორ თუ ვერა სცნობს?

– დღეს კლასში ცხენი დავხატე და მკითხა: ეს რა არისო?



# ნაკადული 1998

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 1998

### იანვარი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ო | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ს | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ო | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხ | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პ | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შ | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| კ | 4 | 11 | 18 | 25 | |

### თებერვალი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ო | | 2 | 9 | 16 | 23 |
| ს | | 3 | 10 | 17 | 24 |
| ო | | 4 | 11 | 18 | 25 |
| ხ | | 5 | 12 | 19 | 26 |
| პ | | 6 | 13 | 20 | 27 |
| შ | | 7 | 14 | 21 | 28 |
| კ | 1 | 8 | 15 | 22 | |

### მარტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ო | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ს | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ო | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხ | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პ | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შ | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კ | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

### აპრილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ო | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ს | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ო | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხ | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პ | 3 | 10 | 17 | 24 | |
| შ | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კ | 5 | 12 | 19 | 26 | |

### მაისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ო | | 4 | 11 | 18 | 25 |
| ს | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ო | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ხ | | 7 | 14 | 21 | 28 |
| პ | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| შ | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| კ | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |

### ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ო | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ს | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ო | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ხ | 4 | 11 | 18 | 25 | |
| პ | 5 | 12 | 19 | 26 | |
| შ | 6 | 13 | 20 | 27 | |
| კ | 7 | 14 | 21 | 28 | |

### ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ო | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ს | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ო | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ხ | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| პ | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| შ | 4 | 11 | 18 | 25 | |
| კ | 5 | 12 | 19 | 26 | |

### აგვისტო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ო | | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| ს | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ო | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| ხ | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| პ | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| შ | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |
| კ | 2 | 9 | 16 | 23 | 30 | |

### სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ო | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ს | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ო | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხ | 3 | 10 | 17 | 24 | |
| პ | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შ | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კ | 6 | 13 | 20 | 27 | |

### ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ო | | 5 | 12 | 19 | 26 |
| ს | | 6 | 13 | 20 | 27 |
| ო | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ხ | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| პ | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| შ | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| კ | 4 | 11 | 18 | 25 | |

### ნოემბერი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ო | | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ს | | 3 | 10 | 17 | 24 | |
| ო | | 4 | 11 | 18 | 25 | |
| ხ | | 5 | 12 | 19 | 26 | |
| პ | | 6 | 13 | 20 | 27 | |
| შ | | 7 | 14 | 21 | 28 | |
| კ | 1 | 8 | 15 | 22 | 29 | |

### დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ო | | 7 | 14 | 21 | 28 |
| ს | 1 | 8 | 15 | 22 | 29 |
| ო | 2 | 9 | 16 | 23 | 30 |
| ხ | 3 | 10 | 17 | 24 | 31 |
| პ | 4 | 11 | 18 | 25 | |
| შ | 5 | 12 | 19 | 26 | |
| კ | 6 | 13 | 20 | 27 | |

1 იანვარი – ახალი წელი, 7 იანვარი – შობის დღე, 19 იანვარი – ნათლისღება, 8 მარტი – ქალთა დღე, 19 აპრილი – აღდგომა, 20 აპრილი – მიცვალებულის მოხსენიების დღე, 9 მაისი – გამარჯვების დღე, 26 მაისი – საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღე, 28 აგვისტო – მარიამობა, 14 ოქტომბერი – მცხეთობა, 23 ნოემბერი – გიორგობა.